91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №11-12 (7110) 11 ივნისი 2024 წელი

26 მაისი—დიდი ეროვნული დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე!

წინასააღდგომო და აღდგომის შემდგომ პერიოდში, ვიდრე დღემდე, ქართულ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს პარლამენტში ჯერ ინიცირებული, შემდგომ კი ხმების უმრავლესობით მიღებულმა გამჭვირვალობის კანონმა.

მართალია, ეს დაძაბულობა ზოგჯერ მეტად მძაფრი იყო და კანონის გამპროტესტებელთა და სამართალდამცავებს შორის შეხლა-შემოხლაც რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში არაერთი საერო და საეკლესიო დღესასწაულების მასიურად აღნიშვნის მიუხედვად, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, კანონის გამპროტესტებელმა ახალგაზრდებმა, თუ ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა, წინა პლანზე ამ დღესასწაულთა მნიშვნელობა და ტრადიციულობა დააყენეს.

სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი დღეები იყო: ხარება, ბზობა, აღდგომა, მიცვალებულთა მოხსენიების დღე, გიორგობა, ფაშიზმზე გამარჯვება, ანდრიაობა, თამარობა, ნინოობა, ოჯახის სიმტკიცისა სა სიწმინდის, ეროვნული სამოსის, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და რა თქმა უნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე—26 მაისი.

26 მაისის მოკლე ისტორია:

1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია ჩვენი სამშობლოს საქართველოს ისტორიაში, რომელმაც დასაბამი მისცა დიდ ეროვნულ დღესასწაულს...

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ბოლო მოუღო რომანოვთა სამასწლიანი დინასტიის ბატონობას რუსეთში, რამაც საქართველოში ეროვნული ძალების არნახული გააქტიურება გამოიწვია. ამის შედეგი იყო სწორედ 19 ნოემბერს საქართველოში ეროვნული ყრილობის გახსნა და ეროვნული საბჭოს არჩევა. 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი წაიკითხა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ეროვნული საბჭოს მიერ... ამ დღეს აღსრულდა დიდი ხნის ნაოცნებარი—მოპოვებული იქნა ნანატრი თავისუფლება, აქედან იღებს სათავეს უდიდესი ეროვნული დღესასწაულიც.

არსებობის მოკლე დროის მანძილზე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოასწრო გარკვეული პროგრესული ღონისძიებების გატარება მმართველობის, კულტურისა და განათლების სფეროში.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

☞5

13 ივნისს ამაღლებაა გილოცავთ!

სააღდგომო ეპისტოლე ☞8

ბოლო ზარი...

მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებში 20 მაისს მეთორმეტე კლასელებისთვის ბოლო ზარი დაირეკა.

ეს დღე ყველა სკოლაში 241 კურსდამთავრებულმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა. საინტერესო, დასამახსოვრებელი ღონისძიებებით დაემშვიდობენ ისინი სკოლას, პედაგოგებს, ერთმანეთს, მაგრამ გამოითქვა რწმენა, რომ არც სკოლას დაივიწყებენ, არც პედაგოგებს და არც ერთმანეთს.

მათ ეცვათ თეთრი პერანგები, აჭრელებული სხვადასხვა ფერის წარწერებით და სურვილებით. ეს პერანგები არ გაირეცხება, ტანსაცმლის კარადაში შეინახება, კარადაში, სადაც ახლა კაბები, კოსტიუმები ჰკიდია, თითოეულის გემოვნების შესაბამისი და მას გამოშვების საღამოზე ჩაიცვამენ... მერე იქნება ეროვნული გამოცდები, ზოგი სტუდენტი გახდება, ზოგი სამუშაოს მიაშურებს და ყველა მონახავს თავის ადგილს, რადგან მათ სკოლაშივე დაასრულეს თვითგამორკვევის პროცესი...

☞2

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში სადაც წარსულს, აწმყოსა და მომავალს სიყვარული აერთიანებს

☞6,7

26 მაისი—დიდი ეროვნული დღესასწაული
საქართველოს დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე!

ფინალი საყოველთაოდ ცნობილია—საბჭოთა რუსეთმა ამჯერადაც დაარღვია 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება—1921 წლის თებერვალში, ანუ 7 თვის შემდეგ შეიარაღებული აგრესიით განახორციელა დემოკრატიული საქართველოს ანექსია.

კიდევ ერთი მძიმე განაჩენი აღსრულდა ბედკრული საქართველოსთვის—დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა დაასრულა, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა და სავალალო ფინალისა, იგი ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე ფურცლად იქცა, რომელმაც დაგვიტოვა დიდი გაკვეთილები.

ქართული ეროვნული, ვაჟკაცური სულის აღტკინება არასოდეს მინავლებულა, მიუხედავად იმისა, 70 წელი თითქოსდა ბედნიერად ვცხოვრობდით საბჭოთა „ძმურ კავშირში“.

შემდეგ იყო 1989 წლის 9 აპრილი, როცა საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და დაწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილე ათასობით მისი მონაწილე მხოლოდ იმისათვის, რომ სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა, თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ, ხმამაღლა ქვეყნის გასაგონად გამოხატეს.

1989 წლის 26 მაისს საქართველოს არსებობის ისტორიაში პირველად აღინიშნა იგი, როგორც ეროვნული ზეიმი. ამით დასაბამი მიეცა, რომ საქართველო ყოველწლიურად მიაგებს პატივს უდიდეს ეროვნულ თარიღს.

შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა. 1989 წლის ოქტომბერში, პირველად ისტორიაში, მრავალპარტიული არჩევნები გაიმართა, ხოლო 1990 წლის 31 მარტს რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობამ დაადასტურა ურყევი ნება—აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, სწორედ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1989 წლის 26 მაისს გამართულმა ეროვნულმა ზეიმმა სრულიად საქართველოს მოსახლეობა მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კლანჭები პოზიციის დათმობას არ აპირებდა, თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს უკვე აღარაფერი აფრთხობდათ.

დიდი სახალხო მსვლელობა და ზეიმი გაიმართა ჩვენს რაიონშიც, ისე როგორც საქართველოს ყველა რაიონში. ახალგაზრდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რესპუბლიკის პირველი შინდისფერი დროშის აღმართვაში.

იმ დღეს სრულიად საქართველოში ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მოზეიმე ადამიანებთან ერთად ღვთის მადლი და ნანატრი თავისუფლება შემობრძანდა...

ახლა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მიჯნაზე ვიმყოფებით. დღეს თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი...

იმედი და ქვეყნის ბედნიერი მომავალი მხოლოდ გაერთიანებულ, შეხმატკბილებულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაშია.

დაე მარად და მარად ვზეიმობდეთ 26 მაისს ჩვენს უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს!!!

26 მაისი თერჯოლაში

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებია 26 მაისისადმი მიძღვნილი დაგეგმილი ღონისძიებები სკანდას ციხეზე მსვლელობით იწყება. ასე იყო ამჯერადაც.

მეოთხე საუკუნის საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლზე სახელმწიფო დროშის აღმართვაში ნამდვილად არის ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტიზმის, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის წარსულის ხსოვნის და თუნდაც მომავლის სიყვარული და პატივისცემა...

სკანდას ციხეზე მსვლელობის მონაწილეთა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, საჯარო მოსამსახურეები და მოქალაქეები, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

თითოეულისათვის დიდი პატივია მრავალსაუკუნოვანი ციხის კედლებზე სახელმწიფო დროშის აღმართვა, „მრავალჟამიერის“ ფონზე, რომელსაც ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე) ასრულებდნენ.

დროშის აღმართვის შემდეგ შეკრებილ საზოგადოებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონი მანუჩარ რობაქიძემ მიმართა, რომელმაც დამოუკიდებლობის დღე მიულოცა თერჯოლისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას...

ზეიმი ქ. თერჯოლაში გაგრძელდა.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა პატივი მიაგეს და გვირგვინით შეამკეს ოთხი ძმის ქუჩაზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დიდების მემორიალი, გაიხსენეს მათი დამსახურების შესახებ სამშობლოს წინაშე.

შემდეგ მსვლელობა ქალაქის ცენტრში „ხარების“ სახელობის ეკლესიის ეზოში ინაცვლებს, სადაც განისვენებს 80-90-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თერჯოლაში დაბადებული და გაზრდილი ვანო ხუხუნაიშვილი.

იგი ჯერ კიდევ წარჩინებული სტუდენტი პარალელურად იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი 1981 წლიდან. ამ წლებიდან დაუკავშირდა მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გია ჭანტურიას. ვანო, მკაცრი საბჭოთა რეჟიმის პირობებში იატაკქვეშეთში, აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ავრცელებდა ანტისაბჭოთა ლიტერატურას და პროკლამაციებს.

1983 წელს მონაწილეობდა „გეორგიევსკის“ ტრაქტატის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში.

1987-1990 წლებში ვანო ხუხუნაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერების საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით გამართულ საპროტესტო აქციებში როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში, მოლდავეთში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. იყო საქართველოში გამართული ანტისაბჭოთა აქციების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

თერჯოლაში, ამჟამად ვანო ხუხუნაიშვილის ქუჩაზე, მის მამისეულ სახლში მუდამ იკრიბებოდნენ მისი მეგობრები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და აქტივისტები. ბევრმა არ იცის, რომ სწორედ აქ, მის მშობლიურ სახლში ჩატარდა ეროვნული მოძრაობის პირველი ყრილობა 1988 წელს. აქ ლოცულობდნენ დილის 6 საათზე ეროვნული მოძრაობის კორიფეები და საქართველოს თავისუფლებას ავედრებდნენ უფალს. სწორედ აქ, ამ სახლის კედელზე გაკეთდა მემორიალური დაფა წარწერით: „აქ, გასული საუკუნის 80-90 წლებში, გამორჩეული მამულიშვილების მიერ იწერებოდა საქართველოს უახლესი ისტორია“.

26 მაისის ის დღე შემდეგ საზეიმო ღონისძიებებით ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში გაგრძელდა, სადაც საზეიმო მორთულობასთან ერთად წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ადგილობრივი ოსტატების: ხათუნა გურულის, ანა გოგიაშვილის, თეა ტალახაძის და მერი კუპატაძის ნამუშევრები. სკვერში თვალსაჩინო ადგილას განთავსდა ტურიზმის კუთხე, სადაც დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდა ფოტოებით გაცნობოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს.

მალე ამფითეატრი კონცერტის მონაწილეებმა დაიკავეს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტით ადგილობრივმა სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლებმა ლამაზი და შინაარსიანი დღე აჩუქეს მაყურებელს, რომლებიც მადლიერების გამომხატველი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ სიმღერის ფოლკლორულ ანსამბლს „იმერეთს“ და ქალთა ანსამბლ „იამეს“, ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლის „მასპინძელი“, ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე, ქორეოგრაფიულ ანსამბლებს „იმერეთს“ და „ჯეოგენს“ (ხელმძღვანელები: გოჩა, გიორგი და თამუნა ჭანკვეტაძეები, ირინა ბუცხრიკიძე) და სხვებს.

მხატვრული ტანვარჯიშის ნომრები წარმოადგინეს სპორტის სასახლესთან არსებულმა სპორტულ აკრობატიკის ჯგუფმა ლალი დიაკონიძის ხელმძღვანელობით.

კონცერტი მიჰყავდა ლიკა ლორთქიფანიძეს.

და ეს არ იყო ყველაფერი. ღონისძიებაში სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. ნორჩი მხატვრები ლამაზი ორნამენტებითა და ფერებით „ალამაზებდნენ“ ყველა მსურველის სახეებს.

იყო სპორტული აქტივობებიც, სადაც ამა თუ იმ სახეობის მოყვარულს შეეძლო მონაწილეობა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა: მკლავჭიდი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ნარდი. იმავე დღეს ფინალური თამაში გაიმართა სკოლებს შორის მინი ფეხბურთში თუზისა და ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის გუნდებს შორის, რომელიც თუზის სკოლის გამარჯვებით დასრულდა.

ხაზგასასმელია, რომ მონაწილენი შესაბამისი თასებით, მედლებითა და დიპლომებით მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა მანუჩარ რობაქიძემ და გიორგი ბარათაშვილმა დაჯილდოვეს.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეს დღე თერჯოლაში მოსახლეობისა და საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო სპექტრის ჩართულობით აღინიშნა.

მზია ცქიფურიშვილი

ბოლო ზარი...

თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

სკოლის ოცდაოთხმა კურსდამთავრებულმა (კლასის ხელმძღვანელი ნატალია ასათიანი), რომელთაგან 10 მედალოსანია, ბოლო ზარის ზეიმი კულტურის სახლის სცენაზე გამართა. „ესაა თაობა, რომელიც ერთ აგურს მაინც დადებს ჩვენი რაიონის და ქვეყნის საკეთილდღეოდ“—თქვა სკოლის დირექტორმა რუსუდან უსუფაშვილმა და მიულოცა კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება, წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში, მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას, მერიისა და საკრებულოს პირველ პირებს მობრძანებისათვის.

სცენას თავიანთი გამოსვლებით, სამადლობელი სიტყვებით, მხატვრული თუ ქორეოგრაფიული ნომრებით კურსდამთავრებულები ხიბლავდნენ მაყურებლებს. სლაიდების ჩვენებას თითოეულის პატარაობის და ბოლო პერიოდის სურათებით მხიარული განწყობა მოჰყვა. კურსდამთავრებულების გამოსვლას თან სდევდა სამადლობელი იმ ამაგისათვის, რაც პედაგოგებმა გასწიეს მათი სწავლა-აღზრდის საქმეში. სცენაზე გააცოცხლეს საქართველოს კუთხეები, წინ აფხაზეთი და სამაჩაბლო იყო წამოწეული. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათი კლასის ხელმძღვანელი ნატალია ასათიანი აფხაზეთიდან არის, იგი ჩვენი ტოლი იყო, როცა დევნილად იქცაო. გამოვიდა ქალბატონი ნატალია, ეროვნული დროშით ხელში და კურსდამთავრებულთან ერთად იდგა სცენაზე.

„ჩვენთვის იღება ახალი შესაძლებლობის კარები“, „დამთავრდა სასკოლო მოგზაურობა“, „ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს“—თქვეს გულანთებით. გაიხსენეს და სამადლობელი არ დაიშურეს პირველი მასწავლებლის ქეთევან გეწაძის მისამართით. წაიკითხეს მისი წერილი, სიყვარულით სავსე და რწმენით, რომ სწორედ ეს თაობა მოუვლის საქართველოს.

ხშირად ისმოდა სამადლობელი პედაგოგების, ღონისძიების ორგანიზატორის თეა რიჟამაძის, XI კლასის ხელმძღვანელების მაკა ყიფშიძის, სოფო სიუკაევას; ასევე ქორეოგრაფების ირინა ბუცხრიკიძის, გოჩა და გიორგი ჭანკვეტაძეების მისამართით, რომლებიც ცეკვის მშვენიერებას აზიარებენ მოსწავლეებს.

ბოლო ზარის ზეიმის საუკეთესო ნაწილი იყო მოკლემეტრაჟიანი იმიტირებული ფილმი „იმერული ესკიზები“. კურსდამთავრებულებს ნამდვილი მსახიობებივით ჰქონდათ მორგებული როლები, დარბაზში ფილმს მხიარული განწყობა მოჰყვა, მოწონების ნიშნად ტაში და შეძახილი. ეს არის ფილმი, რომლის შესახებ საუბარი ძნელი აღმოჩნდა, სიტყვა „კარგი“ კი არასაკმარისი. ეს ფილმი უნდა ნახო!

კერძო სკოლა „მზეკაბანი“

თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ღონისძიების თითქმის ყველა დამსწრემ ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში გადმოინაცვლა. აქ კერძო სკოლა „მზეკაბანის“ XII კლასის კურსდამთავრებულებმა (კლასის ხელმძღვანელი ინგა გაბრიჭიძე) ბოლო ზარის ზეიმი გამართეს.

ეს ნაკადი სკოლის მე-16 გამოშვება იყო და სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის აზა მემანიშვილის თქმით—ერთ-ერთი საუკეთესო, 13 კურსდამთავრებულიდან 10 მედალოსანია. წინ ეროვნული გამოცდებია, მოლოდინი, რომ ცამეტივე სტუდენტი გახდება.

ბოლო ზარის ზეიმი აზა მემანიშვილმა გახსნა, მან დამსწრეთ თხოვა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ახლახან გარდაცვლილი, ძევრის საჯარო სკოლის პედაგოგის ნანა ისაკაძის ხსოვნისათვის, გაიხსენა „მზეკაბანის“ დამაარსებელი, ნინელი გვენეტაძე, მუნიციპალიტეტის გარდაცვლილი მერი ლაშა გოგიაშვილი, რომელიც ამ სკვერის გაშენების ინიციატორი იყო და მადლობა გადაუხადა დღეს მოქმედ ხელისუფლებას, რომლებმაც საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ეს მშვენიერი გარემო შექმნეს. ქალბატონმა აზამ სცენაზე მოიხმო კურდამთავრებულები—გონიერი, რწმენით და ოცნებით გამსჭვალული თაობა. „ცნობილია, რომ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებისათვის მედლების გადაცემა გვიანდება, ჩვენ დარეჯან გოგბერაშვილთან ერთად, რისთვისაც მადლობა მას, დავამზადეთ სიმბოლური მედლები“—თქვა აზამ და თხოვა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარს და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიას „დახმარებოდნენ“ მედლებისა და სერთიფიკატების გადაცემაში. სერთიფიკატები გადაეცა ყველა პედაგოგს, რომლებიც ამ ჯგუფში შედიოდა. კურსდამთავრბულებმა: მარიამ გეწაძემ, ვახო პატარიძემ, გიორგი გოგბერაშვილმა, მარიამ პერანიძემ სიტყვები წარმოთქვეს, მადლობა გადაუხადეს აღმზრდელ პედაგოგებს და პირობა დადეს, რომ არ დაივიწყებენ პედაგოგთა ამაგს. აზა მემანიშვილი კვლავ დაუბრუნდა ვახო პატარიძეს, რომ იგი გეოგრაფიაში ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის გამარჯვებულია, თავის მხრივ ვახომ მეორედ ჩაიგდო ხელში ტრიბუნა და თქვა: „თორმეტი წელი ვისწავლე აქ და ამით მე მომეცა მეორე ოჯახი“. ვერც გეოგრაფიის მასწავლებელმა ნორა ჩუბინიძემ დაფარა ემოციები: „მე დაუკაკუნებლად შემოვაღებ თქვენი კაბინეტის კარსო“. აღინიშნა, რომ ეს არის შედეგებზე ორიენტირებული სკოლა, გამოითქვა რწმენა, რომ იცხოვრებენ ჭეშმარიტი ღირებულებებით, არ დაივიწყებენ ერთმანეთს და სკოლა, არ იარსებებს—ყოფილი „მზეკაბანელი“. პედაგოგმა მანანა წერეთელმა საკუთარი ლექსი წაიკითხა: „ვინც უთამადებს ლხინს, გაუძლებს ჭირს“—იყო ლექსში ასეთი პწკარი. ემოციური იყო კლასის ხელმძღვანელი ინგა გაბრიჭიძის გამოსვლა.

პედაგოგებს და კურსდამთავრებულებს დაურიგდათ სამახსოვრო სუვერინები, აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. მამა ქრისტეფორემ, რომელიც ესწრებოდა ღონისძიებას, დალოცა ახალგაზრდები და მიმართა უკვდავი სიტყვით: ქრისტე აღსდგა. ყველაზე უდიადესი არის ღმერთი, ეს სიტყვები სდევდა მის გამოსვლას.

მზეკაბანელებმა დადეს ფიცი: „ყოველთვის ვიქნები ღირსეული „მზეკაბანელი“, მამული, ენა, სარწმუნოება უპირველესი იქნება ჩემთვის“, „ოჯახი, სკოლა და სრულიად საქართველო იამაყებს ჩემით“.

თერჯოლის №2 და კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებულთა ბოლო ზარის ზეიმი იყო ერთმანეთისგან განსხვავებული ღონისძიება, ორივე კარგი, ორივეს ეტყობოდა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის კვალი, თან სდევდა მადლიერება და პატივისცემა პედაგოგთა მიმართ, ერთმანეთის სიყვარული და მომავლის იმედი, რწმენა იმისა, რომ გამოადგებიან ერს, სამშობლოს და „მოუვლიან საქართველოს“ .

ბოლო ზარის ზეიმებს ესწრებოდნენ: პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, სხვა მოწვეული სტუმრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, რომლებიც ორივე სკოლის ღონისძიებას ესწრებოდნენ, კურსდამთარებულებს მიულოცეს სკოლის დამთავრება, ცხოვრების ახალ ეტაპზე გამოსვლა, წარმატებები უსურვეს ეროვნული გამოცდების დაძლევაში, მომავალ საქმიანობაში. მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებებს და პედაგოგთა საქმიანობას.

ბატონმა მანუჩარმა თქვა, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის კურდამთავრებულებს მერია დაუფინანსებს ექსკურსიას 500 ლარის ოდენობით და გაიხარეს მეორესკოლელებმა და „მზეკაბანელებმა“, ასეთივე სიხარული იქნებოდა ალბათ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში.

„ჩვენ ხშირად ვსაყვედურობთ ახალგაზრდებს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ საუკეთესო თაობა გვეზრდება, მაინც სად იყო ამდენი კარგი, სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზდა“—თქვა ერთმა, რომელიც ორივე ღონისძიებას ესწრებოდა.

ჟუჟუნა ცხადაძე

სკოლა, სადაც ქართული ეროვნული სული ტრიალებს

„ყველაზე დიდი გამოგონება ანბანი, დროშა და ჰიმნია, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა“—ათქმევინებს ნოდარ დუმბაძე ერთი ცნობილი მოთხრობის გმირს. „ესე ენაი, შემკული და კურთხეული“, „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან დღესამამდე“ ხომ გვაქვს! ხომ გვქონდა დროშა სამფეროვანი შვინდისფერის, შავი და თეთრი ფერისა, ხომ გვქონდა გერბი—თეთრი გიორგი შვიდი მნათობით, ხომ გვაქვს დღეს, მართლაც თავისუფლების სიმბოლო...

გვექნება მომავალშიც, რადგან ახალგაზრდობა „მამულის, ენის, სარწმუნოების“ ანბანის, დროშის, ჰიმნის, გერბის სიყვარულით უნდა გაიზარდოს. თავისუფლების წყურვილს, სამშობლოსათვის თავდადების, პატრიოტული სულისკვეთების, დროშის სიყვარულის და პატივისცემის მაგალითია ძევრის საჯარო სკოლის აღზრდილი, რუსეთ-საქართველოს ომს შეწირული შმაგი სოფრომაძე. მან არ შეასრულა ბრძანება, არ იცეკვა და არ გათელა ფეხქვეშ ქართული ეროვნული დროშა და დახვრიტეს...

შმაგი სოფორმაძის მაგალითით იზრდებიან დღეს ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეები. აქ ყოველი დღე ეროვნული სულის ძახილია, პედაგოგები სამშობლოს სიყვარულით აღზრდას აყენებენ წინ და მაღლა, ასეთ დროს სწავლა თავისით მოდის. ძევრის სკოლის თითქმის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი ხდება. მრავალ და სხვადასხვა ღონისძიებებზე წარმოთქმული სიტყვები, მხატვრულად წაკითხული ლექსები მხოლოდ პატრიოტულია და ეროვნული სულით გაჟღენთილი, აღარაფერს ვამბობთ მოკლემეტრაჟიან ფილმზე—შინდისის გმირებზე—ხომ წამოვიღეთ მთავარი პრიზი „ოქროს პეპელა“, ხომ დაიდგა ცხრა სპექტაკლი მხოლოდ ძლიერ და პატრიოტულ თემაზე, ვაჟკაცობა—სიმამაცეზე.

☞4

3☜

სკოლა, სადაც ქართული ეროვნული სული ტრიალებს

ერთმა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ძევრის სკოლა გარკვეული თანხით დააფინანსა, რა ჰქნა მანუჩარ ფანჩულიძემ? შეთანხმდა პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და 100 ცალი ეროვნული დროშა იყიდა, რომელიც ახლა სკოლის ეზოს არა მარტო მიმზიდველს ხდის, არამედ ხელს უწყობს მოზარდთა აღზრდას ეროვნული სულისკვეთებით, აფიქრებს სამშობლოზე, მის მომავალზე, უძლიერებს სიყვარულის გრძნობას.

სკოლის თანამშრომელმა ალეკო სოფრომაძემ თქვა, რომ ქარიან და წვიმიან ამინდში ამ დროშებს დღეში რამდენჯერმე ასწორებს...

სკოლაში უფრთხილდებიან ყველაფერს ღირებულს, ამაღლებულს, კეთილშობილურს, საამაყოს და ამით შმაგისაც მიაგებენ პატივს. „თუ დასჭირდება ამ სკოლაში გაზრდილი თაობა იომებს, იარაღსაც აიღებს ხელში, „ტანკსაც შეუვარდება“ და მუშტსაც მოიქნევს“-ო თქვა სკოლის დირექტორმა.

დაგვიანებული ბოლო ზარის ზეიმი

როცა ყველაფერი მზად იყო, როცა დაზუსტდა ღონისძიების ყველა დეტალი, სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი ნანა ისაკაძე გარდაიცვალა. ლახვარი იყო მისი სიკვდილი ძევრელი პედაგოგების გულში. ღონისძიებაზე პატივი მიაგეს მის ნათელ ხსოვნას და კიდევ წლების მანძილზე ძევრის სკოლის 40-ზე მეტ გარდაცვლილ მასწავლებელს და 300-ამდე მოსწავლეს. მსმენელს, მკითხველს არ უყვარს გვარ-სახელების ჩამონათვალის მოსმენა-კითხვა, მაგრამ გარდაცვლილთა სრული სია რომ წაიკითხეს, სულგანაბული და ფეხზე მდგარი იყო დამსწრე საზოგადოება. მისაბაძი და ამაღელვებელია, როცა სკოლა ინახავს ამ გვარ-სახელებს და ღმერთმა ინებოს ძალიან დიდხანს ნურავინ შეემატება ამ სიას...

* * *

ყოველ წელს ბოლო ზარის ზეიმს სკოლის იუბილეს ამთხვევენ. 72 წელი შესრულდა წელს ძევრის სკოლის დაარსებიდან. სკოლის შენობა არ არის მაღალი სტანდარტების, მაგრამ როგორც მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ თქვა—თავის მისალოც სიტყვაში, ძევრელებს მალე ახალი სკოლა ექნებათ. თუმცა არც ახლა ეშლებათ ხელი წარმატებულები იყვნენ...

„უთვალავი“ დროშა ფრიალებდა 3 ივნისს ძევრის სკოლის ეზოში, შესასვლელში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უფროსკლასელი ბიჭები იდგნენ. თითქოს მზადყოფნას გამოხატავდნენ—თუ დასჭირდება სამშობლოს... ბოლო ზარის და სკოლის იუბილის ზეიმზე მრავლად იყვნენ სტუმრები, ძევრელები, მოსწავლეთა მშობლები, ყოფილი კურსდამთავრებულები. სულ პატარები დედას „მიწეპებულები“. სკოლის დირექტორის მანუჩარ ფანჩულიძის ნათქვამი—ამათ დანახვას არაფერი მირჩევნიაო—არის ახალგაზრდობის მიმართ მშობლიური დამოკიდებულება, თქვა კიდეც ერთმა კურსდამთავრებულმა—„ეს ჩემი სახლიაო“.

* * *

ღონისძიებაზე პირველები სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების თერჯოლის მუნიციპალური განყოფილების ხელმძღვანელი მოქმედი ვიცე პოლკოვნიკი ვასილ ტყეშელაშვილი და თადარიგის პოლკოვნიკი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა სამსახურის უფროსი გია ლილუაშვილი მოვიდნენ. მათ გაიხარეს „სამხედრო“ დახვედრით. თანდათან იკრიბებოდნენ მოწვეულები თუ მოუწვეველნი. ღონისძიების მთელ მსვლელობას სკოლის დირექტორი უძღვებოდა. მან პირველად კურსდამთავრებულები: ლილი ფანჩულიძე, ლუკა ფანჩულიძე, ლუკა ფანჩულიძე, ვახო მეფარიძე, გიორგი აბჟანდაძე, ნათია სოფრომაძე, მათე ზაქარიაძე, ვაჟა აბულაძე, გიორგი აბულაძე მოიწვია აუდიტორიის წინაშე. კურსდამთავრებულებს ხელჩაკიდებული მოჰყავდათ ცვლა, მომავალი პირველკლასელები: ანა ფანჩულიძე, ალექსი ფორჩხიძე, ანასტასია ხაჭიპერაძე, დათო ჯიბლაძე, მარიამ აბჟანდაძე, მარიამ ხურციძე, მიშო ხურციძე, თედო ფორჩხიძე, ალექსი აბულაძე, მარიამ ბარათაშვილი.

ყურადღება მიაქცია ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ ორ თაობას და კმაყოფილმა აღნიშნა, რაც გადის სკოლიდან, იმდენივე და მეტიც შემოდისო.

„წონითი კლასი“

დირექტორმა თქვა—ეს „წონითი კლასია“-ო. და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „შინდისის გმირების“ სპექტაკლების მონაწილენი, თან გამორჩეულები სწავლითა და ყოფაქცევით, რაც მთავარია ეროვნული ღირებულებებით, მაყურებლის როლში იყვნენ. ერთ საათიან (ცოტა მეტიც) ღონისძიებაში ჩაატიეს კურსდამთავრებულების 12 წელი და სკოლის 72-ე იუბილეც. სკოლის დირექტორმა ისაუბრა ზოგიერთ წარმატებაზე, პედაგოგების დამსახურებაზე, ხაზი გაუსვა სკოლისა და მშობლების ერთიან თანამოღვაწეობას, წლევანდელი კურსდამთავრებულების აქტიურობას. დროდადრო სახელდახელო სცენას უთმობდა ლექსებს: „ჩემო საქართველო“, „საქართველოში იბადებოდნენ“, „სამშობლოს სიყვარული ჩაგვინერგეს აკვნიდან“, „სხვასთან ალაverდს ვეღარ გადავალ“, „მე პატარა ქართველი ვარ“, „დავიბრუნებთ რაც წაგვართვეს, რადგან ჩვენთან ღმერთია“... შთამბეჭდავი იყო ახლადშექმნილი რამდენიმე ბავშვისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი (სავარაუდოდ ეს „კაპელა“ იქნებაო), მეორე, ე.წ. „ტრიო“, „სეფარეთის“ უბნის სამი ბავშვით, „აფხაზეთი საქართველო არის“—რამდენჯერმე მეორდება ეს ფრაზა სიმღერის ტექსტში და ვინ არის გუნდის ხელმძღვანელი —უფროსკლასელი ქეთი ხელოიშვილი!

მაყურებელი მოხიბლეს მეორეკლასელმა „პატარა მოდელებმა“, მათმა ჩვენებამ და ცეკვებმა. ღონისძიების მსვლელობისას იყო გამოსვლები, უკვე ყველას ჰქონდა შექმნილი შთაბეჭდილება ღონისძიებაზე და თითოეულმა ქება და სამადლობელი არ დაიშურა.

* * *

ღონისძიებას ესწრებოდნენ და სიტყვებით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი მაია თორთლაძე, მეთოდისტი დალი სოფრომაძე საკუთარი ლექსით, სკოლის ყოფილი დირექტორი ავთანდილ ჯიბლაძე, კლასის ხელმძღვანელი ლუიზა ხუჯაძე, ყოფილი კურსდამთავრებული—ნონა კვახაძე, ბატონები: ვასილ ტყეშელაშვილი და გია ლილუაშვილი.

ღონისძიებაზე აგვეთვე მოწვეულები იყვნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, ჩხარის სკოლის დირექტორი კობა ბარდაველიძე, გოგნის სკოლის დირექტორი ვერა ქოჩიაშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ნინო ოქრუაძე თანამშრომლებთან ერთად, გოგნის და ძევრის ბაგა-ბაღების გამგეები, კურსდამთავრებულები: მირზა აბულაძე, სერგო ჯიხვაშვილი, სიტყვებით გამომსვლელებმა მიულოცეს კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება, წარმატებები უსურვეს უახლოესი და უფრო შორსმიმავალი გეგმების შესრულებაში, მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას—უწოდეს მას დასამახსოვრებელი დღე.

* * *

მანუჩარ ფანჩულიძემ სიტყვა მისცა კურსდამთავრებულებს, რომლებიც თავის მხრივ გამოხატეს მადლიერება სკოლის დირექტორისა და პედაგოგების მისამართით, ერთგვარ დაპირებად გაისმა სიტყვები, რომ „მოუვლიან საქართველოს“. ისევ და ისევ „მამული, ენა, სარწმუნოება“, ისევ სიწმინდეები: ანბანი, დროშა, ჰიმნი, პატრიოტული სული სდევდა თან არა მარტო ღონისძიებას, არამედ სკოლის წარსულს, ხვალინდელ დღეებს...

სტუმარ-მასპინძლობა

არც ერთი მოწვეული უყურადღებოდ არ დაუტოვებია მანუჩარს. ყველას უთხრა მადლობა, აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანადგომა, რამდენიმეჯერ ახსენა რეჟისორი ტატო პატარიძე, ცხრა სპექტაკლის დამდგმელი, ახალი სპექტაკლების მომლოდინე სკოლის დირექტორი იმედებს კვლავაც ტატოზე ამყარებს. მანვე მადლობა უთხრა „ათასი წვრილმანის“ მომგვარებელ სპონსორებს, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს. გია ლილუაშვილი, რომელიც ექსკურსიას დაპირდა სკოლას ერთ რომელიმე სამხედრო ბაზაზე, რამდენჯერმე ახსენა—„გიამ ყველგან შეაგდო თავი გასაწირადო“.

გაისმა იმდენი ფოიერვერკის ხმა, რამდენმაც დაამთავრა სკოლა... კურსდამთავრებულებმა ქუდები ცაში აისროლეს...

ჟუჟუნა ცხადაძე

P.S. ძევრის სკოლის 72-ე გამოშვება, ამ სკოლის ყველაზე ინტელექტუალური კლასია. ეს სწორედ ის კლასია, რომელმაც ღირსეულად და წარმატებით დაწერა ამ სკოლის მისი წილი ისტორია.

გამოშვებაც ღირსეულად აღინიშნა. სკოლადამთავრებულთა და მომავალ პირველკლასელთა ზეიმმა, რომლის მონაწილე სხვებთან ერთად გახლდით, უპირველესად დიდი მადლიერების გამოხატვის აუცილებლობა დამავალა თავისთავად...

მადლობა მოსწავლე-ახალგაზრდებსა და მათ აღმზრდელებს, ადლობა დირექტორს მანუჩარ ფანჩულიძეს, გამორჩეულ თავკაცს, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით ახერხებს მომავალი თაობის ღირსეულ მამულიშვილებად ჩამოყალიბების ურთულესი პროცესის ხელმძღვანელობას.

იმ დღის ზეიმში, როგორც მონაწილე, მთლიანად იყო ჩართული სკოლის ყველა კლასის ყველა მოსწავლე, ყველა პედაგოგი, არაერთი კურსდამთავრებული და მშობელიც, ყოფილი დირექტორიც და მასწავლებელიც, მათთვის სკოლა ახლაც რომ მშობლიური და საყვარელია.

სწორედ ასეთ სკოლებში იზრდებიან ისეთი გმირები, როგორიც ამ კედლებში ჩამოყალიბებული, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული შმაგი სოფრომაძე იყო.

პატივისცემით, დავით კლდიაშვილი

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ნოვაციამ გაამართლა

27 მაისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილეებთან- ზვიად ბაზაძესა და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირს მერიის სამსახურებისა და

განყოფილებების უფროსები, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე საუბარი ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებს შეეხო.

მუნიციპალიტეტის მერმა ასევე მოისმინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ და დაავალა შესაბამის სამსახურებს ყველა იმ საკითხის შესწავლა და მოგვარება, რომელიც ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა დეტალური ინფორმაცია მიიღო სოციალურად დაუცველი 12 ოჯახისთვის სახლების მშენებლობის შესახებ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელთა თქმით, მშენებლობის პროცესი ყველა ლოკაციაზე დაიწყო.

თათბირზე არაერთი დადებითი განცხადება გაკეთდა მერის იმ ინიცი-ატივაზე, რომელიც მოსახლეობისათვის, ბეტონის ხსნარის მიწოდებას და მათი პირდაპირი ჩართულობით სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებდა, რაც თითქმის სამჯერ იაფი დაჯდა, ვიდრე ჩვეულერივ შემთხვევაში.

თათბირზე მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა მოქალაქეთა პირადობის ე.წ. ლამინირებულ მოწმობებზე, რომლებიც 1 ივლისიდან უქმდება. იუსტიციის სამინისტროს მიმდინარე აქციის ფარგლებში 1 ივლისამდე, პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება მათთვის, ვინც ამ დრომდე ფლობს უვადოდ გაცემულ ე.წ. ქაღალდის დოკუმენტს. მანუჩარ რობაქიძემ სოფლის წარმომადგენლებს დაავალა მოსახლეობამდე მაქსიმალურად მიიტანონ აღნიშნული ინფორმაცია.

უმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალური ბაზა

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ხელშეწყობის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ერთი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს სოფელ ძევრში და ერთი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სოფელ ეწერში.

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, სოფელ ძევრის და სოფელ ეწრის მშენებარე ბაღები დაათვალიერა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

ეწრის საბავშვო ბაღის შენობის მარცხენა ფლიგელის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია. აღნიშნულ სივრცეში, სადაც 2-3 წლიანთა ჯგუფი განთავსდება, კეთილმოეწყო ოთახები, სველი წერტილები, მოწესრიგდა გარე ფასადი. დაგეგმილია ბაღის ინვენტარიზაცია.

აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ძევრის სკოლამდელ დაწესებულებაში, სადაც 50 აღსაზრდელზე გათვლილი შენობის შიდა სივრცეში. ამ დროისათვის ეწყობა ოთახები და მიმდინარეობს წინა მოსამზადებელი სამუშაოები ცენტრალური გათბობის სისტემის და სველი წერტილების დასამონტაჟებლად. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო დაწესებულება ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვისაც. მოხდება ხარისხიანი ინვენტარის შეტანა და კეთილმოეწყობა შენობის გარე სივრცეც.

სოფლისთვის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი მგფ-იდან ფინანსდება, როგორც სამუშაოებზე პასუხისმგებელი კომპანიის „იმერეთმშენი-2000“ ის წარმომადგენლები აცხადებენ, სოფელს დასრულებული და კეთილმოწყობილი სკოლამდელი დაწესებულება, სექტემბრის ბოლოს ჩაბარდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძე, სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე, სოფლების მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 5 ივნისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის - თემურ ქოჩიაშვილის მიერ წარმოდგენილ საკითხებს:

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ;

საკითხის წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - თემურ ქოჩიაშვილმა უპასუხა.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე - ზვიად ბაზაძე, მერის წარმომადგენელი საკრებულოში - სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თვითმმართველობის კარგი გადაწყვეტილება

2024 წლის 15 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის - გრიგოლ გიორგაძის მიერ წარმოდგენილი ერთი საკითხი, ხოლო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - ბადრი ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილი ორი საკითხი.

საკითხების წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მერიის ინიციატივა, **„წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოვებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში” თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, განმარტა კომისიის თავმჯდომარემ - გრიგოლ გიორგაძემ. ცვლილება გულისხმობს დასაჯილდოვებელი სპორტსმენების ასაკის დაწევას. 18 წლის ნაცვლად, 14 წლიდან დაჯილდოვდებიან წარმატებული სპორტსმენები, ხოლო, ზედა ზღვარი, 26-ის ნაცვლად 30 წლამდე გაიზარდა.**

აღსანიშნავია, რომ გაიზარდა ფულადი ჯილდო წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელისათვის.

მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ აღნიშნა, რომ განხორციელებული ცვლილებები მეტ მოტივაციას მისცემს მწვრთნელებსა და სპორტსმენებს. მათი წარმატება კი დადებითად აისახება მუნიციპალიტეტზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ - გიორგი ბარათაშვილმა, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ინიციატივისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ცვლილება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი საკრებულოში - სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

2024 წლის 24 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კიდევ ერთი რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გრიგოლ გიორგაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი: „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო/კერძო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეების სასწავლო ექსკურსიის დაფინანსების პროგრამა“.

ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა მე-12 კლასს საექსკურსიოდ განსაზღვრული თანხა გადაეცემათ საჩუქრად, სხდომებზე დეპუტატების მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი. სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერის წარმომადგენელი საკრებულოში სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში
სადაც წარსულს, აწმყოსა და მომავალს სიყვარული აერთიანებს

დღე, რომელიც თავისი მნიშვნელობით, ხიბლითა და ემოციით მთელი ცხოვრება შენთან დარჩება და არა მხოლოდ შენთან — თაობებსაც გადაეცემა, როგორც მადლიერებისა და სიყვარულის გაცხადების, მოფერებისა და პატივისგების ნიმუში.

სწორედ ასეთი იყო 31 მაისს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში გამართული საღამო, რომელსაც კარგად მისადაგებული სახელი „სიყვარულის მემკვიდრეობა“ ერქვა.

საღამოს მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება ცენტრის ახლადრეაბილიტირებული შენობის გახსნას მიეძღვნა, პარალელურად ეს იყო თერჯოლაში დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის, როგორც ქვეყნის მასშტაბით აღიარებული, ერთ-ერთი საუკეთესო სააღმზრდელო დაწესებულების წარსულის გახსენება-გააზრებისა და იმ ადამიანთა ღვაწლის წარმოჩენის კარგი მცდელობა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და შემდგომ წლებში განვითარება-აღმასვლის გ ზებით ატარეს ეს მნიშვნელოვანი დაწესებულება, არაერთ თაობას კი შინაარსით, ცოდნით, რწმენითა და მომავლის იმედით კიდევ უფრო გაულამაზეს ბავშვობის წლები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ყველა ჩანაფიქრი ნამდვილად კარგად გამოუვიდათ.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი ის დაწესებულებაა, სადაც ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება აღსაზრდელთა ღირსეულ, განათლებულ, ზნეკეთილ ადამიანებად აღზრდისათვის.

ცენტრი მუდმივად სიახლეების ძიებაშია. მისი საქმიანობის გაცნობით ნებისმიერი დარწმუნდება, რომ იმერეთის ამ ერთ პატარა რაიონში, ყველა გამოწვევას,

რომელიც დღეს ახალგაზრდებისათვის აქტუალური და საინტერესოა, მომზადებული ხვდებიან.

საჯარო სკოლების მოსწავლეებს, ვისაც ხელს არ უშლის მანძილი და აქვს სურვილი, მეტი ცოდნა და გამოცდილება მიიღოს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, დაიკმაყოფილოს ინტერესი ესთეტიკური თუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, დახელოვნდნენ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებასა და დისკუსიის კულტურაში, ისწავლონ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, თამამად გადადგან პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები, აქვთ ფართო არჩევანი, გაერთიანდნენ ამა თუ იმ წრესა თუ კლუბში. არჩევანი დიდია, ხოლო ცენტრში გატარებული წლები მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად გაჰყვებათ და დაეხმარებათ, დროულად იპოვონ თავიანთი ადგილი და საყვარელი საქმე ცხოვრებაში.

ცენტრის მიმართ მოსწავლეთა ინტერესი დიდია, რაც აღსაზრდელთა მზარდ რაოდენობაში აისახება. დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობა ორიენტირებულია, თითოეულმა აღსაზრდელმა მიიღოს ცოდნისა და გამოცდილების მაქსიმუმი. მათი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობა და უშრეტი ენერგიაა იმ შემოქმედებითი საქმიანობისა და მიღწეული წარმატებების გარანტი, რომლითაც ნამდვილად გამორჩეულია და საამაყო თითოეული თერჯოლელისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი.

***

მოწვეულ სტუმრებს ეზოში ეგებებიან მასპინძლები: მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარათაშვილი, მათი მოადგილეები, საჯარო სამსახურის ხელმძღვანელები, საკრებულოს დეპუტატები, მოსწავლე-ახალგაზრდობის დირექტორი ქალბატონი ნინო ოქრუაძე, ცენტრის თანამშრომლებთან ერთად.

მასპინძელთა ამ ჟესტში არის რაღაც სხვანაირი, გამორჩეული.

ყველაფერი სილამაზით ბრწყინავს ცენტრის საკონცერტო დარბაზში, სადაც ყველა ადგილი დაკავებულია.

სტუმართა შორის არიან: იმერეთის გუბერნატორი, ბატონი ზვიად შალამბერიძე, თერჯოლატყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე.

მოწვეულ სტუმართა სპექტრი მრავალფეროვანია. მათ შორის გამორჩეულნი და საპატიონი არიან სხვადასხვა წლებში ცენტრის ხელმძღვანელ პოზიციაზე დაკავებული ადამიანები, აქ არიან აღსაზრდელებიც, რომლებიც წლების წინ დირექტორებთან და აღმზრდელებთან ერთად ისტორიას ჰქმნიდნენ, არიან ხელმძღვანელი მუშაკები.

თითოეულ მათგანს წინ ულამაზესი საღამო ელოდება და აი ეს წუთიც დგება.

ლამაზი მუსიკისა და ტექსტის ფონზე შთამბეჭდავ, მრავლისმეტყველ ფოტოკოლაჟს არ შეიძლება ინტერესით არ მიადევნო თვალი.

„სიყვარულია ყველაფრის დასაწყისი და სადაც სიყვარულია, იქ დასასრული არ არის“—ამ სიტყვებით იწყებენ ღონისძიებას წამყვანები.

ზუსტი ინფორმაცია, რომელ წელს გაიხსნა თერჯოლაში „პიონერთა სახლი“, როგორც მას საწყის ეტაპზე ერქვა არ მოიპოვება, სავარაუდოდ ეს იყო 1954-55 წლები. არც ისაა ცნობილი, ამის თაობაზე პარტიის რაიკომის, რომელმა მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება ევტიხი გოგიაშვილმა, პავლე სახეჩიძემ თუ იოსებ ყიფიანმა.

სავარაუდოდ, პიონერთა სახლის დირექტორთა ათვლა თერჯოლაში ქალბატონ ნიურა ჭუმბურიძით იწყება, რომელმაც შემდეგ ესტაფეტა ქალბატონ ლამარა გოგიაშვილს გადასცა. შემდეგ ქალბატონი ლამზირა ბარბაქაძე აგრძელებს პიონერთა სახლის დირექტორობას. შემდეგ კი თანმიმდევრობით იკავებენ პოსტს ქალბატონები: ლუიზა კუპატაძე, ნარგიზ ცქიფურიშვილი, მანანა დგებუაძე, რუსუდან კოვზირიძე. თითოეულმა მათგანმა გარკვეული წვლილი შეიტანა ახალგაზრდებისათვის ამ უაღრესად საყვარელი სახლის საქმიანობაში, მის შემდგომ განვითარებაში.

„ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“... ულამაზესი ეპოქიდან ცხოვრების ორომტრიალში გადავეშვებით, რაგინდ მაღალ მწვერვალს უნდა მივაღწიოთ, თვალი უკან გვრჩება, უკან სადაც ჩვენი ბავშვობის უბედნიერესი ხანაა. ასაკის მატებასთან ერთად უფრო ტკბება, გვეძვირფასება იქ გატარებული ყოველი წამი, ვეფერებით, გვიყვარს ყველა ის ადამიანი, ვინც ეს წლები გაგვილამაზა...

ცენტრის ბიოგრაფია დახუნძლულია მოგონებებით. **„მას ყველა ეპოქის თერჯოლის წარმატებაში თავისი წვლილი შეჰქონდა“.**

„აქ სიცოცხლის ზეიმი იყო, არის და იქნება.“

თერჯოლას უყვარდა და უყვარს ეს პატარა, თბილი კერა... ამაყობს აქ აღზრდილებით.

„რეგიონში პირველად აქ დაიდგა ოპერა „ცრუ მზისა“, „ჯადოსნური ფუნჯი“, „ციცქნა იას დღეობა“, ჩამოყალიბდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მნათობი“, შეიქმნა საბავშვო თეატრი, ვაჟთა ხალხური სიმღერების გუნდი, გოგონათა ვოკალური ჯგუფი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, აქაურმა ჩუქურთმის მჭრელებმა ლიდიცეს საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე მიიღეს 7 ოქროს მედალი, რომელიც თავად ჩეხეთის ელჩმა გადასცა გამარჯვებულებს. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან პატარა თერჯოლამ ევროპის ქვეყნებზე მეტი ჯილდო აიღო.

აქ გადაიღეს დოკუმენტური ფილმები: „ნამცეცები“, „შინ“, რომლებმაც უმალ დაიპყრო ინტერნეტსივრცე.

აქ ჩამოყალიბდა აგრონომთა კლუბი და დღეს საქართველოში საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი მხოლოდ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს აქვს“...

ის მძიმე წლებიც გაიხსენეს, საბჭოეთის ნგრევას და ქვეყნის მართვაში წარმოუდგენელ ცვლილებებს, რომ მოჰყვა.

„სისხლით, ბრძოლით, ცრემლით, გაჭირვებით სავსე წლები დაიწყო. ნანატრი თავისუფლება არავის დაუთმია ტკბილად, საამოდ საქართველოსთვის.

ყოფნა არ ყოფნის საკითხი იდგა, ქვეყანაში დაიხურა პიონერთა სახლები.

ამ ურთულეს ჟამს თერჯოლის პიონერთა სახლს უკან არ დაუხევია, რადგან ყველა დროში თავისი ქვეყნის ინტერესებს, ახალი თაობის პატრიოტულ აღზრდას ემსახურებოდა და გააგრძელა ძნელი გასაკვალი გზა.

კიდევ უფრო შეიკრა პედკოლექტივი საქმის სიყვარულით, პროფესიონალიზმით და ეს სახლი უფრო წარმატებული გახდა. იყო სიცივეც, გაყინული ხელფასებიც, უხელფასო შვებულებები, სროლები, მაგრამ იყო ნდობა, მშობლები ენდობოდნენ ამ პატარა შენობაში მოფუსფუსე ადამიანებს. ამ ქარტეხილებში მათი შვილები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ჩუქურთმას ჭრიდნენ, ქარგავდნენ,. დგამდნენ სპექტაკლებს. იზრდებოდნენ ნდობითა და სიყვარულით, ერთად ყოფნის, მეგობრობის უბადლო გაკვეთილებს იღებდნენ“.

თანადგომა, მხარდაჭერა ყოველთვის იყო ნებისმიერი ხელისუფლებისაგან, რადგან მათ იცოდნენ რომ აქ იყო მომავლის სამჭედლო... ასე მოხდა ერთი პატარა ოთახიდან, ჯერ რამდენიმე ოთახში გაფართოება, შემდეგ კი ორსართულიან კაპიტალურ შენობაში გადასვლა. 1989 წელს რეკონსტრუქცია გაუკეთდა ყოფილ სასტუმროს და ულამაზესი შენობა გადაეცა მოსწავლეთა სახლს, რადგან მრავალ მსურველს ძველი შენობა ვეღარ იტევდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მალე იგი არა მხოლოდ რესპუბლიკურ, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. საქართველოს მთავრობისა და გერმანიის თანამშრომლობის მიერ 2005-2010 წლებში დაფინანსდა საერთაშორისო საზაფხულო სასწავლო შემეცნებითი-გასართობი ბანაკი „წინ მომავლისაკენ“. სწავლა და დასვენება ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს. სწორედ ამ ბანაკში სომხეთის, აზერბაიჯანის, კონფლიქტური ზონების, საქართველოს ოკუპირებული კუთხეების სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მომავალი თაობა ერთად სწავლობდა და გეგმავდა თავიანთი ქვეყნის მომავალს... ზამთრის არდადეგებზე კი ინკლუზიური ბანაკები სიხარულს ანიჭებდა სკოლას და საზოგადოებას მოწყვეტილ ბავშვებს...

მრავალფეროვანი, საინტერესო, ღია მუშაობით „ცენტრმა“ ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჩეხური ორგანიზაცია „პინის“ ნდობა მოიპოვა. მათი დაფინანსებით სულ 75 მცირე პროექტი განხორციელდა. პროექტებს წერდნენ არა მხოლოდ პედაგოგები, ბავშვებიც. სწორედ ამ პროექტების საფუძველზე გაიხსნა აგრონომთა, დებატების, თვითმმართველობის, კინო-ჟურნალისტთა კლუბები. გამოიცა თერჯოლის ეკლესია-მონასტრების ილუსტრირებული კატალოგი „ქვაში ჩაკირული საიდუმლო“, გზა გაეხსნა მწერლობისაკენ თერჯოლის მკვიდრს, მაშინ მოსწავლეს, ახლა კი უკვე ახალგაზრდა მწერალს გელუკა ბუიღლიშვილს, ☞7

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში
სადაც წარსულს, აწმყოსა და მომავალს სიყვარული აერთიანებს

6☜

დაიბეჭდა მისი პირველი ზღაპრების წიგნი—„საჭორეთიდან მოფრენილი ფურცლები“.

თერჯოლას დაუვიწყარი დღეები აჩუქა, ცოდნა და ძვირადღირებული კინოთეკა დაუტოვა საერთაშორისო დოკუმენტურმა კინოფესტივალმა და კინობანაკმა „სინემამ“.

ითქვა, რომ ცენტრი, რომელიც დღემდე მოვიდა წარმატებებით, გამარჯვებებით მოიტანეს ადამიანებმა უღალატოდ, კეთილსინდისიერად, პროფესიონალიზმით, სიყვარულით... ისინი ღამაზ დღეებს ჩუქნიდნენ ბავშვებს... ერთობლივი მუშაობით ქვეყნის მომავლისადმი სათუთი დამოკიდებულებით ყველა ხელმძღვანელმა თავისი გუნდით შეუძლებელი შეძლო.

განსაკუთრებით ხანგრძლივი 35 წლიანი ხელმძღვანელობა ცენტრში ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს ხვდა წილად, მან აქ დიდი კვალი და ტრადიციები დატოვა.

სიყვარულის, რუდუნების, ურთიერთსიყვარულისა თუ საქმისადმი ერთგულების ტრადიცია ისევ გრძელდება...

დარბაზი არაერთხელ აღაფრთოვანა სცენარში დრო და დრო ჩართულმა მხატვრულმა ნომრებმა. პირველი ვინც მაყურებელთა წინაშე წარსდგა იყო ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ცეკვა „დავლურით“.

აღსანიშნავია, რომ მხატვრული ნომრების შემსრულებლები ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებსაც ამ სახლის

შექმნაში პირდაპირ თუ ირიბად უდევს წილი, ერთ-ერთი მათგანია ქალბატონი ხათუნა სირბილაძე, რომელმაც მრავალ აღსაზრდელს შეაყვარა სიმღერა. მისმა საოცარმა შესრულებამ მაყურებელთა აპლოდისმენტები დაიმსახურა.

ასევე ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურეს ცენტრის ხალხურ საკრავთა ანსამბლ „იმედის“ დირიჟორებმა ტარიელ და ზურაბ რიჟამაძეებმა—ეს ის შემთხვევაა, როცა თაობიდან თაობამ ჩაიბარა ანსამბლი. თუშური მელოდიების ულამაზესი შესრულება წარმოადგინა რიჟამაძის ოჯახმა.

სცენაზე გურამ თურქაძის გამოჩენას სიხარულის ემოცია მოჰყვა. გურამმა, რომელიც სულ პატარა მიიყვანეს პიონერთა სახლში, დღემდე ვერ დაასრულა მასთან ურთიერთობა. პროფესიით ხელოვანი დღეს საჯარო მოხელეა, შეიძლება თამამად ითქვას მხატვრული კითხვის დიდოსტატია. „ცენტრთან“ დაკავშირებული მოგონებებითა და ულამაზესად წაკითხული ლექსით, ბატონმა გურამმა უზომო აპლოდისმენტები და სიყვარული მიიღო დარბაზიდან.

ვაჟთა გუნდი და პედაგოგი ინეზა ბუცხრიკიძე თითქმის ერთად გაიზარდნენ ცენტრის სცენაზე, წარმატებებიც იყო მრავლად და ჯილდოებიც. დღეს მუნიციპალიტეტის ვაჟთა ანსამბლი „მასპინძელო“ საქვეყნოდ ცნობილია, უყვარს და ეამაყება თერჯოლას... მათი შესრულებული „ჰარირა“ თბილ და ტკბილ ჰანგებად მოეფინა საკონცერტო დარბაზს.

მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია ულამაზესი თეატრალური ნომრით სცენაზე ნატა ცხადაძისა და სერგო კირკიტაძის გამოჩენამ. მათ ამ ცენტრის თეატრალურ კლუბში აიდგეს ფეხი და მოსინჯეს თავიანთი თავი ამ სფეროში. მათი პედაგოგიც ამ ცენტრში აღზრდილი, ახლა წარმატებული, საქვეყნოდ ცნობილი, რეჟისორი მამუკა ცერცვაძე იყო. ნატა თბილისში ლიტერატურულ-მუსიკალურ სტუდია „სახიონის“ ხელმძღვანელი, მეტყველების პედაგოგია, სერგო—წყალტუბოს საკრებულოს თავმჯომარის მოადგილე. წლების წინ ამ სცენაზე, როცა სპექტაკლში პირველად ითამაშეს ქალბატონმა მედეა ამირანაშვილმა აღფრთოვანება ვერ დამალა.

დიდია წვლილი ქალბატონი გულთამზე კუბლაშვილისა ცენტრის წარმატებული ბიოგრაფიის შექმნაში. ყოველთვის იდგა იქ, სადაც პროფესიონალი იყო საჭირო.

ვაჟა კუბლაშვილის ოჯახს, ოპერის მომღერლების სამჭედლოს, წარდგენა არ სჭირდება, ისინი თავისი მაღალი პროფესიონალიზმით ეპოქას ჰქმნიან. ბატონი ვალერი ჯერ საბავშვო ოპერის, შემდეგ კი ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტი იყო, ამჟამად თერჯოლის სამუსიკო სკოლის დირექტორია.

თერჯოლას ახსოვს ჯერ კიდევ საბავშვო ბაღიდან, ცენტრის სცენიდან მუდამ მომღიმარი, პოზიტივით სავსე გოგონა, ნათია მოსიაშვილი, დღეს ის ცნობილი საოპერო მომღერალია.

ვალერი კუბლაშვილისა და ნათია მოსიაშვილის საოპერო დუეტს ხანგრძლივი აპლოდისმენტები და მოწონების შეძახილები მოყვა.

შემდეგ ისევ „ბერიკონის“ ცეკვა „ნარნარი“... ულამაზესი, დახვეწილი და უსასრულოდ სრულყოფილი...

ხათუნა გოგიაშვილი, რომელიც თითქმის ამ სცენაზე გაიზარდა, მღეროდა, სპექტაკლებში თამაშობდა, ლექსებს კითხულობდა. ამ ღამაზ საღამოზე თავის ქალიშვილთან ერთად აქაურობის სიყვარულმა მოიყვანა და შვილთან ერთად შესრულებული სიმღერით აპლოდისმენტები დაიმსახურა.

ზურაბ რობაქიძემ ბავშვობის ღამაზი წლები ამ სცენაზე გაატარა, მას შემდეგ სიმღერისათვის არ უღალატია. იგი სამი ვაჟკაცის მამა და ანსამბლ „მასპინძელოს“ სოლისტია.

დაუვიწყარი მუსიკალურობა და შესრულება, დაუვიწყარი სიმღერითა და სიტყვებით. უამრავი სიყვარული და აპლოდისმენტები მას მაყურებლებისაგან...

და კიდევ ერთი ღამაზი სიმღერა. ამჯერად მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ამღერებული დირექტორი—ქალბატონი ნინო ოქრუაძე. წლების წინ, ისიც აქ, ამ სცენაზე მღეროდა და ცეკვავდა. თავისი ბავშვობის კერა, ქალბატონ რუსუდან კოვზირიძისან ჩაიბარა და დიდი პასუხისმგებლობაც იტვირთა სიყვარულის მემკვიდრეობის წარმატებული გაგრძელებისა...

შემდეგ იყო „ცენტრის“ სამადლობელი იმერეთის რეგიონის გუბერნატორის ბატონ ზვიად შალამბერიძისა და მისი გუნდის მისამართით. ღამაზი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დარბაზის, სასიამოვნო გარემოსათვის, ბავშვებისათვის ნანატრი საჩუქრის გამო...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამთავრობო სტრუქტურის, საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელთა ბატონ გიორგი ბარათაშვილისა და მანუჩარ რობაქიძის მიმართ. სამშენებლო კომპანია „იდეალმშენის“ დირექტორის ბატონ გოგა რუხაიას, ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელთა ძალისხმევით დამშვენდა და გალამაზდა ეს შენობა.

***

როგორც ითქვა, ეს დარბაზი არა მხოლოდ ცენტრის მოსწავლეებს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლესა და საზოგადოებას უმასპინძლებს, მოემსახურება.

„ჩვენ მომსახურენი ვართ, ვემსახურებით უფალს, სამშობლოს, ბავშვებს... თაობას, რომელიც მომავალი საქართველოა... ეს გაგრძელდება უსასრულოდ“. ასეთია მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღმზრდელთა განაცხადი.

„მე ჩამოვჯექი შენი სულის ბაღის კიდეზე,
სადაც არწივებს ყელი ბევრჯერ
მოუღერიათ,
ხელი ჩამკიდე, ამიყვანე ცოდნის კიბეზე,
იმ სამზეოზე, სულის ჰიმნს რომ თხზავენ,
მღერიან...
ჩვენ ტოტებს ვგავდით, ნიავისგან
შემკრთალებს, აშლილთ...
უმისამართოდ გაბნეულებს ვგავდით
თაველებს...
და შენ გვაწრთობდი სიყვარულით,
სითბოთი, ტაშით,
როს ჩვენთან ერთად ედებოდი
ქვეყნის მთა-ველებს.
ჩვენ ვწერდით, ვთხზავდით,
ვსაუბრობდით დაულეველად
ამოვდიოდით პატარები ცოდნის კიბეზე...
და ამ კარიდან ვედებოდით მერე ქვეყანას,
ჩვენ გაზრდილები შენი სულის
ბაღის კიდეზე.“

ეს კი ცენტრის აღსაზრდელთა სახელით პედაგოგ თეა რიჟამაძის ლექსია ამ დღისადმი სპეციალურად მიძღვნილი...

და საზეიმო საღამოს ულამაზესი ფინალი: დარბაზში „ცენტრის“ ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის აღსაზრდელთა (ნინი, გოჩა, ელენე, ლალო, ლუკა, ნანო, გიორგი, თეკლა, ნინუცა, თეკლა, გიორგი, თიკა, მარიამი) შემოჯარვა და მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია... ხმამაღალი განაცხადი ქვეყნის მესაძირკვლედ და პატრონებად მოსვლისა და მომავლის იმედი;

ქვეყნის მოფერების, სიყვარულისა და მის სადარაჯოზე ყოფნის ურყევი რწმენა... ათასობით და ათიათასობით მათი თანატოლი ამას ნამდვილად გააკეთებს.

და ბოლოს უკვდავი „მრავალჟამიერით“ ვაჟთა გუნდი „მასპინძელო“ ასრულებს ღონისძიებას.

ახლა სტუმრების მისალმების და დაჯილდოების დრო დგება. მანამდე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი ქალბატონი ნინო ოქრუაძე მიესალმება

და მადლობას უხდის სტუმრებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მის წინამორბედ დირექტორებს, „ცენტრის“ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს, მშობლებს, თითოეულს, რომლებიც მონაწილეობდნენ და წვლილი მიუძღვით ამ დღის და საერთოდ ცენტრის ბიოგრაფიის შექმნაში...

ცენტრში გაწეულ მუშაობას, წარმოდგენილ ღონისძიებას მაღალ შეფასებას აძლევენ პედაგოგებსა და აღსაზრდელებს მიესალმებიან: ბატონები ზვიად შალამბერიძე—იმერეთის გუბერნატორი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერი—მანუჩარ რობაქიძე, საპარლამენტთაშორისო კავშირის კონსულტანტი, ჟენევის უნივერსიტეტის ლექტორი ქალბატონი ნანა ყურაშვილი, მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე, ცენტრში აღზრდილები მამა ანდრია ყიფიანი, საქპატენტის თავმჯდომარე სოსო გიორგაძე.

მაყურებელთა და სიტყვით გამომსვლელთა სამადლობელი დაიმსახურეს: სცენარის ავტორმა—ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის კოორდინატორმა რუსუდან კოვზირიძემ.

ღონისძიების წამყვანებმა: მოსწავლეთა ცენტრის პედაგოგმა ნათია გამყრელიძემ, ირაკლი მემანიშვილმა თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა, მოსწავლეთა ცენტრში გაზრდილმა, ამჟამად „ავერსის“ კლინიკის ექიმმა, ქირურგმა.

მადლობა მოსწავლეთა ცენტრის გუნდს: დირექციას, ადმინისტრაციას, მთლიანად პედაგოგიურ კოლექტივს, ტექნიკურ პერსონალს, ღონისძიებისთვის შექმნილ სპეციალურ ჯგუფს, სცენის ტექნიკური მხარის მოწესრიგების ოპერატორებსა და გამნათებლებს, ყველა იმ ადამიანს, ვინაც ეს დაუვიწყარი საღამო შემატა ცენტრს და სრულიად თერჯოლის ისტორიას.

დასასრულს რაიონის ხელმძღვანელებმა ყვავილები და სამახსოვრო ჯილდოები გადასცეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ყოფილ დირექტორებს, ქალბატონებს: ღამარა გოგიაშვილს, ღამზირა ბარბაქაძეს, მანანა დგებუაძეს, რუსუდან კოვზირიძეს, იგივე საჩუქრები გაუგზავნეს ქალბატონებს ნარგიზ ცქიფურიშვილსა და ლუიზა კუპატაძეს.

მზია ცქიფურიშვილი

P.S. ამ საღამოს ჰქონდა ერთი ულამაზესი გაგრძელება...

მასპინძლებმა სტუმრები ჭიქა ღვინით დასალოცად მიიწვიეს, აქაც ყველაფერს თავისი ეშხი და მიმზიდველობა ჰქონდა.

მოულოდნელად მეუფე გიორგიმ და მის ირგვლივ შეკრებილმა მომღერლებმა, გალობა წამოიწყეს „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“... რომელსაც უამრავი ხმა შეუერთდა, ყველაფერი კი ერთხმად დაგუგუნებულმა „მრავალჟამიერმა“ დაასრულა.

სააღდგომო ეპისტოლე

„თქვა ... იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვინც მე მიწამებს, თუნდაც რომ მოკვდეს, იცოცხლებს.“ (ინ.11.25)

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

აღსრულდა უფლის განკაცების დიადი საიდუმლოს მთავარი მიზანი, - ქრისტე აღდგა!

ენით გამოუთქმელი და მიუწვდომელი ეს სასწაული თითოეული ადამიანის გულამდე აღწევს და საყოველთაო სიხარულით აღვსილნი ვხმობთ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

საღვთო და ადამიანური ბუნების მქონე ძე ღვთისა და ძე კაცისა, მაცხოვარი სოფლისა და განმაახლებელი სამყაროსი, იშვა რჩეული ერის, ისრაელის, წიაღში.

ადამიანური ბუნებით იგი მოიცავდა მთელ კაცობრიობას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ ჰქონდა ცოდვა ისევე, როგორც ადამს ცოდვით დაცემამდე.

მას მეორე ადამადაც სახელდებენ, რადგან არც ადამს ჰყავდა ხორციელი მამა და არც იესოს; პირველი ადამი მიწისგან შეიქმნა და შემოქმედისგან სული შთაებერა, მეორე, - წმინდა ქალწულ მარიამისგან სულიწმინდით მოევლინა ქვეყანას. პირველი ადამის შეცოდებით სამოთხე დავკარგეთ და სიკვდილსა და ხრწნილებას დაედო სათავე, ხოლო მეორე ადამმა - ქრისტემ, ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან გვიხსნა, მარადიული სიცოცხლე მოგვანიჭა და სამოთხის კარი კვლავ განგვიღო.

განკაცებულმა უფალმა განაახლა ჩვენი დაცემული ბუნება და აღგვიდგინა ცოდვით შებღალული თავდაპირველი ხატება ღვთისა. ამასთან, მან გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ერთმანეთთან და ღმერთთან, რათა დასაბამისეული განგებულება ყოვლადწმინდისა სამებისა ჩვენში გაცოცხლდეს და აღორძინდეს.

* * *

სულ რაღაც სამწელნახევრის მანძილზე იესო ქრისტემ თავისი ქადაგებებით მრავალი მიმდევარი შეიძინა, თუმცა მისი მაცხოვნებელი სწავლება ყველამ სიხარულით როდი მიიღო. ზოგი ეჭვით უყურებდა, ზოგიც გმობდა. თავად უფალი კი, განგებულების შესაბამისად, გარკვეულ ჟამამდე განერიდებოდა ხოლმე მათ და განკურნებულებს, მკვდრეთით აღდგინებულებს, აგრეთვე, ფერისცვალების სასწაულის მხილველ მოწაფეებს და თვით ბოროტ სულებსაც უკრძალავდა, გარკვეულ დრომდე, მესიად საჯაროდ ეღიარებინათ; სიტყვანი და საქმენი მისნი კი მაინც თავისთავად მოწმობდა, ვინ იყო იგი.

უფალთან ურთიერთობისას ადამიანები გრძნობდნენ, რომ არამიწიერთან და, ამავე დროს, მშობლიურთან, ჰქონდათ შეხება და მუდამ არჩევანის წინაშე დგებოდნენ, - მიეტოვებინათ ძველი ცხოვრების წესი, ეზრუნათ სულიერ განწმენდაზე, როგორც ამას მაცხოვარი ქადაგებდა, თუ დარჩენილიყვნენ ცოდვაში და ძველებური ყოფა გაეგრძელებინათ.

იერუსალიმში დიდებით შესვლამდე უარყოფითად განწყობილნიც კი, მართალია, ზოგჯერ დრტვინვით, მაგრამ უფრო ხშირად ინტერესით, უსმენდნენ მაცხოვარს; თუმცა ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინების შემდეგ, როცა მთელმა ერმა პატივი მიაგო მას, როგორც მესიასა და მაცხოვარს და ჩვილებმაც კი სასწაულებრივად იგალობეს მხსნელის სადიდებელი: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი მეფე ისრაელისა“ (ინ. 12.13), ვითარება რადიკალურად შეიცვალა; უფალი უკვე ყველას შეეხო და როგორც საერონი, ისე, განსაკუთრებით, სასულიერო დასი არჩევანის წინაშე დადგა, - ან უნდა მიეღოთ იგი მესიად, ან უარეყოთ.

დაპირისპირებულმა ძალამ მისი სიკვდილით დასჯა განიზრახა.

მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ქრისტე შეიპყრეს ხუთშაბათს, ღამით, როდესაც მოსახლეობა პასექის ზეიმისთვის ემზადებოდა. პარასკევს, გამთენიისას, გაასამართლეს, განაჩენი გამოუტანეს და იმავე დღეს ჯვარს აცვეს.

პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით, დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ, პილატეს სასამართლომდე ერთი ბრალდებულის შეწყალება იყო შესაძლებელი. მღვდელმთავრებისა და უხუცესების მიერ წაქეზებულმა ხალხმაც იესო ქრისტეს ბარაბა ამჯობინა...

* * *

იმ დროისათვის იუდეა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, რის გამოც მაცხოვრის მთავარ ბრალმდებლებს, სინედრიონის წევრებს, იგი რომაელ პროკურატორთან, პილატესთან, უნდა მიეყვანათ, რადგან, რომის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, ჩამორთმეული ჰქონდათ სიკვდილის განაჩენის გამოტანის უფლება; ამასთან, უფლის უკიდურესი შეურაცხყოფის მიზნით, მისი სიცოცხლის ხელყოფა ჯვარცმით, - დასჯის ყველაზე დასაძრახი რომაული წესით, ჰქონდათ განზრახული.

გარდა პილატესი, იგი მეოთხედმთავარსაც, იუდეის მეფე ჰეროდესაც მიჰგვარეს. ასე რომ, უმოკლეს დროში მოხდა იესო ქრისტეს წარდგენა სამ მმართველ ძალასთან:

იუდეველმა მღვდელმთავარმა კაიაფამ ბრალად დასდო მოსეს რჯულის დარღვევა და ღვთის თანასწორად თავის მიჩნევა.

წარმოშობით იდუმიელმა მეფე ჰეროდემ, რომელიც არ იყო დავითის შთამომავალი და ტახტის დაკარგვის შიში მუდამ ჰქონდა, იუდეველთათვის აღთქმულ ცრუ მეფედ მიიჩნია იგი და, დამცირების მიზნით, თავის მოსასხამმოცმული საბოლოო მსჯავრისთვის პილატეს გაუგზავნა.

პროკურატორ პილატეს არ სურდა ქრისტეს დასჯა, მაგრამ მაინც ანგარიში გაუწია სინედრიონის, ჰეროდესა და მასთან წარმოდგენილი ხალხის პოზიციას და იმის შიშით, რომ არ დაეწამებინათ უძლეველი რომის კეისრის ძალაუფლების შემცილებლის დაცვა (ეუბნებოდენ, იესო თავს ამქვეყნიურ მეფედ აცხადებსო), აღარ შეეწინააღმდეგა მოთხოვნას - ჯვარს ეცვათ იგი.

სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ შეიცნო მასში ზეციური მეუფე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, ნათელი და სიცოცხლე, სიყვარული და უმწვერვალესი თავმდაბლობა, რადგან მიწიერ გულისთქმებს შედგომილნი არ ესწრაფოდნენ ღვთის სამართლს და საკუთარ სიმართლეს მინდობილნი, უფლის სიმართლეს არ დაემორჩილნენ (შდრ. რომ. 10.3). „ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო გული; ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი, და შლეგებად იქცნენ“ (რომ. 1.21-22), უსამართლო ბრალი დასდეს მაცხოვარს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავად სიმართლეს, სიცოცხლესა და ჭეშმარიტებას.

ერთი შეხედვით, მიწიერმა სამართალმა გაიმარჯვა და, ადამიანური ლოგიკით, ჯვარცმის შემდეგ იესოსადმი რწმენა უნდა განელებულიყო, მაგრამ სინამდვილე საპირისპირო აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირება სიმართლესა და უსამართლობას, ზეციურ და მიწიერ აზროვნებას შორის დღემდე გრძელდება და ხალხის არჩევანიც მაცხოვრისა და ბარაბას მიმართ კვლავ სასწორზე დევს, სიმართლით შენიღბული სიცრუე და ბოროტება ვერ ფარავს ქრისტეს სახარების ჭეშმარიტებას და იგი, ღვთის მადლითა და ძალით, მთელს მსოფლიოში კვლავაც ვრცელდება და იქადაგება.

* * *

მეტად მნიშვნელოვანია ზემოთქმულის სულიერი მხარე:

როგორც ვიცით, შემოქმედი სასჯელით გვსჯიდა, როცა ხედავდა როგორ ვეფლობოდით ცოდვაში და ვიღუპებოდით. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წარღვნით აღხოცა კაცთა შორის გამრავლებული ბოროტება, ცეცხლით დაწვა სოდომი და გომორი, ბაბილონის გოდლის მშენებლობით გამოვლენილი ამპარტავნებისათვის ბოროტად შეთქმული ადამიანები ენათა შერევით განაცალკევა...

ამიტომაც არის აზრი იმის შესახებაც, რომ დაცემულ ანგელოზებს ეგონათ, თუ უფალი კაცთაგან სასიკვდილოდ გაიწირებოდა, ღმერთი ადამის მოდგმას სამუდამოდ მოაკლებდა წყალობას, მისი რისხვა იქნებოდა შეუქცევადი და კაცობრიობა მთლიანად და საბოლოოდ ჯოჯოხეთის წილხვედრი გახდებოდა.

თუმცა მოვლენები რეალურად როგორ განვითარდებოდა, არა თუ მათ, თვით ღვთის ანგელოზებმაც არ იცოდნენ.

ქმნილ სამყაროს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ღმერთი თავის ჯვარცმას ჩვენი გამოხსნის ყველაზე დიდ მსხვერპლშეწირვად და ჩვენდამი თავისი სიყვარულის ზეიმად აქცევდა; ჩვენს უგულისხმობას საოცარი მიმტევებლობით უპასუხებდა და დასჯით სწორედ დემონთა სამყაროს დასჯიდა; მათ ძლიერებას დაამხობდა, ჯოჯოხეთის ბჭეთ შემუსრავდა და სიკვდილს განაქარვებდა.

„დაინთქა სიკვდილი ძლევით! სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი, სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!“ (I კორ. 15.55).

ამიერიდან, მართლმორწმუნეთათვის იმქვეყნად სატანჯველი აღარ არსებობს, რადგან ქრისტეში და ქრისტეთი ცოდვათგან განწმენდილი მათი სულები ღვთის სავანეთ იმკვიდრებენ და მეორედ მოსვლის შემდეგ, საყოველთაო აღდგომით, უხრწნელი სხეულის შემოსვითა და ცათა სასუფეველში დამკვიდრებით იხარებენ.

მთელი ახალი აღთქმა ცათა სასუფევლისკენ მოწოდებაა, რადგან მისი მოპოვებაა ჩვენი მყოფობის არსი და აზრი. აღდგომილი მაცხოვარიც სწორედ ცათა სასუფევლის ცოდნას უზიარებდა თავის მოწაფეებს, განსაკუთრებით 40 დღის მანძილზე, როცა ზეცად ამაღლებამდე ეცხადებოდა მათ და სამოციქულო ღვაწლისთვის ამზადებდა და განამტკიცებდა.

ამის შედეგი იყო ის, რომ მოციქულები, რომელთაც დაბრკოლებისა და შიშის გამო ჯვარცმისას მიატოვეს იესო და სინედრიონის მიერ წაქეზებული ხალხისა და ხელისუფალთაგან შეძრწუნებულნი გარეთ გასვლასაც ვერ ბედავდნენ, უხრწნელ სხეულში მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის არაერთგზისი ხილვითა და მასთან ურთიერთობით დარწმუნდნენ, რომ ასეთივე იქნებოდა საყოველთაო აღდგომისას ჩვენი სხეულებრივი მდგომარეობაც, რომ სიკვდილმა ძალა დაკარგა და მარადიული სიცოცხლისაკენ გაგვეხსნა გზა. ამიტომაც, სრულიად გაუქრათ მიწიერ სხეულთან გაყრის შიში და მათში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებამ იზეიმა.

ისინი იმდენად განმტკიცდნენ და იმდენად განიბრძნენ უფლის სწავლებით, რომ წმინდა მიწაზეც და მთელ მსოფლიოშიც უშიშრად დაიწყეს სახარების ქადაგება და მოწამეობრივი სიკვდილიც სიხარულით მიიღეს.

* * *

უფალმა, ადამის ცოდვის გამოსყიდვით, თავის მორწმუნეთათვის სინანული გახადა იმდენად ცხოველსმყოფელი, რომ ავაზაკს სიცოცხლის ბოლო წუთების აღმსარებლობითა და გულწრფელი სინანულით მთელი ამქვეყნიური ცოდვები მიუტევა და სამოთხის კარი გაუხსნა, რითაც თითოეულ ჩვენგანს მოგვცა იმედი სინანულის გზით ცხონებისა.

ეკლესიის დიდი მოძღვრები გვასწავლიან იმასაც, რომ ჩვენს პირველმშობლებს ცოდვა სამოთხეშივე რომ მოენანიებინათ, დანაშაული რომ ერთმანეთისა და მაცდურისათვის არ გადაებრალებინათ, არამედ თავიანთი ამპარტავნება და ურჩობა უფლის წინაშე გულწრფელად ეღიარებინათ, აღარ დაისჯებოდნენ.

ღვთის წინაშე შენდობა რომ ეთხოვა და ღალატის გამო შესატყვისი სინანული გამოევლინა, თვით იუდაც, პეტრე მოციქულის მსგავსად, შეწყალებას მიიღებდა, მაგრამ იგი, სინანულის ნაცვლად, სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

გახსოვდეთ, რაც არ უნდა დიდი იყოს თქვენი ცოდვები, იმედი არ დაკარგოთ და სინანულის მადლით დაუბრუნდით ქრისტეს! ზეციურ მკურნალს არა ჰყავს უკურნებელი სნეულნი, რადგან მისი მოწყალება და შეწევნის ძალა უნაპიროა; ოღონდ უფალს გულმოდგინება და ნაყოფი სინანულისა უნდა ვუჩვენოთ. ადამიანს ღუპავს არა ჩადენილ ცოდვათა სიმრავლე, არამედ მათი მოუნანიებლობა, გაქვავებული და გასასტიკებული გული.

* * *

წინასააღდგომო მარხვას ეკლესია როგორც შემოქმედის, ასევე მოყვასის მიმართ სინანულისა და შენდობის მოწოდებით იმიტომ იწყებს, რომ ქრისტიანული ცხოვრება წესად გვექცეს, სულიერი წყლულები მოვიშუშოთ და ნაკლოვანებანი აღმოვფხრათ, რათა ჩვენში და ჩვენს გარშემო არსებულ გარემოში მოხდეს საღვთო წიაღისკენ მიბრუნება, - ურთიერთსიყვარულში დაბრუნება.

ბოლო პერიოდშიც და, სამწუხაროდ, წელსაც პოლიტიკურმა პროცესებმა ხალხში ისეთი დაძაბულობა შემოიტანა, რომ, როგორც მძიმე მარხვის განცდა, ისე სააღდგომო სიხარულის განწყობა, ბევრში განელდა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული დაპირისპირებისა და რთული ვითარებისა, ჩვენ უნდა გვაერთიანებდეს სამშობლოს სიყვარული და, განსხვავებული აზრების მიუხედავად, შეგვეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება.

ყველას მოგიწოდებთ, დღეს, შესაძლებლობისამებრ, ავმაღლდეთ სულიერად, მივეცეთ აღდგომის დღესასწაულის სიხარულს და საგალობლებით შევეგებოთ მაცხოვარს; გავერთიანდეთ ქრისტეში და ერთად შევთხოვოთ მას კეთილდღეობა და მშვიდობა როგორც საქართველოსთვის, ისე უკრაინის, ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოსათვის.

უფალი თავისკენ უხმობს მწუხარეთ, სიმართლის მწყურვალთ, მოწყალეთ, მშვიდობისმყოფელთ, გულით წმინდანთ და რწმენაში მტკიცეთ; მათ, რომელნიც არ ბრკოლდებიან ცილისწამებით, უსამართლო დევნითა და დამცირებით და სჯერათ, რომ, როგორც განვლო სინანულისა და მარხვის დღეებმა, ასე გაივლის წუთისოფლის განსაცდელებიც და სიმართლე აუცილებლად იზეიმებს, ვითარცა იზეიმა ქრისტეს აღდგომამ.

ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიო ცივილიზაცია თავის ჟამთა სვლას და მოვლენებს ორ ძირითად ნაწილად ყოფს, - ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ წელთაღრიცხვით, რადგან 2000 წლის მანძილზე სწორედ მას უკავშირდება უდიდესი სულიერ-კულტურული და საკაცობრიო ცვლილებები და ქრისტეს ეკლესიაც ხარობს წმინდა მამათა და დედათა და თავის სხვა ღირსეულ შვილთა სიმრავლით.

დღეს ჩვენთან ერთად უფლის აღდგომას ზეიმობენ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლები და წინაპრებიც, ჭეშმარიტი რწმენით აღსრულებულნი; დღეს ერთიანდება ცა და მიწა, დრო და მარადიულობა, რაც მთელი არსებით შეგვაგრძნობინებს, რომ ქრისტეა განმსაზღვრელი მთელი სამყაროს აწმყოსი, წარსულისა და მომავლისა; რომ იესოა სიცოცხლე და ერთადერთი წყარო სიცოცხლისა მათთვის, რომელნიც შეუდგებიან - განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და ასაკისა.

მაშ, ყველამ გულით აღმოვთქვათ:

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომილმა მაცხოვარმა დალოცოს თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, ამინ!

სიყვარულით მუდამ თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

აღდგომა ქრისტესი,

თბილისი, 2024 წ.

ოჯახი—სახელმწიფოს საფუძველი...

2014 წლის 17 მაისს საქართველოს პატრიარქის კურთხევით დადგინდა ოჯახის დღე და იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად იქცა, რადგან ოჯახი ღმერთის მიერ დადგენილი საიდუმლოა, მცირე სახელმწიფოა თავისი კანონებით, უფლებებით, კულტურით, შეხედულებებით, ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულებით. ამ დღესთან დაკავშირებით ერთი ოჯახის შესახებ მოვუთხრობთ მკითხველს—ვნახოთ რა კანონები აქვთ, რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, რა ადგილი უჭირავს საზოგადოებაში ახალ თაობას, ვინ არის ჯემალ ქოჩიაშვილი და ნანი ქასრაშვილი, როგორ გაუძლო მათმა სიყვარულმა დროს და როგორ შექმნეს ღირსეული ოჯახი.

ჯემალ ქოჩიაშვილის ბავშვობა სამამულო ომის წლებს დაემთხვა. მამა—გრიგოლი ომიდან 1945 წელს დაბრუნდა, „ღამით ჩამოვიდა მამა, მეფერებოდა და გულში მიკრავდა, ეს წუთები დღემდე მახსოვს და სასიამოვნო მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში“—იხსენებს ჯემალი და სიყვარულით საუბრობს დედაზე—პაშა აბჟანდაძეზე, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობდა ომის წლებში და ომის შემდეგ. შვილებს: ამირანს, ნუნუს, ავთანდილს, ჯემალს სწავლისა და შრომის სიყვარულით ზრდიდნენ, სწავლას უპირველესად მიიჩნევდნენ და დაამთავრეს კიდეც და-ძმებმა საშუალო სკოლა და უმაღლესი წარჩინებით.

* * *

მე-5 კურსის სტუდენტი იყო ჯემალი, როცა სადიპლომო პრაქტიკაზე კასპის ცემენტის ქარხანაში მიავლინეს, ერთი თვე უნდა დაკვირვებოდა სამუშაო პროცესს და შემდეგ დამოუკიდებლად უნდა ემუშავა. ცვლის უფროს გაუფრთხილებია—საამქროში რამდენჯერმე ნასამართლევი, ლოთი და სამუშაოს გამცდენი კაცი მუშაობსო. ჯემალი ამ მუშას დაახლოვებია, ესაუბრებოდა, მითითებებს აძლევდა და ისიც ერთ-ერთი მოწინავე გამხდარა. აქტივობისა და საქმის კარგად გაძღოლის გამო ჯემალი მოწონებია ხელმძღვანელებს და შეუთავაზებიათ მაღალი თანამდებობა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მაგრამ კასპში კი არა, კათედრაზე დარჩენის შეთავაზებაზეც ვერ მიიღო, მიზეზი ის იყო, რომ ჯემალი ითვლებოდა მოხუცებული ბებიის ოჯახის წევრად, რომელიც მოუთმენლად ელოდა მის დაბრუნებას.

ჯემალ ქოჩიაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა: აჯამეთის აგურის ქარხანაში ცვლის, საამქროს, საწარმოო განყოფილების უფროსად. აქ დაინერგა მისი რამდენიმე რაციონალური წინადადება. 1970 წელი იდგა, დიდი მშენებლობები იყო რაიონში და რესპუბლიკაში, აგური დეფიციტი იყო, ქარხანა კი დოტაციაზე. ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე იხარჯებოდა მეტი, ვიდრე მისი სარეალიზაციო ღირებულება. ქარხნის დირექტორად მისი მუშაობის დროს გატარდა რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები. ქარხანამ მოგებით დაიწყო მუშაობა, მალე აჯამეთის აგურის ქარხანა, ჭიათურის და ავჭალის აგურის ქარხნები გაერთიანდა და ჯემალი ქარხნიდან წამოვიდა. ჯემალმა გაიხსენა—ერთმა ბარდუბნელმა 40-45 წლის კაცმა სამუშაოზე მიღება თხოვა, გულახდილად უთქვამს სამუშაოს მაძიებელს—ნასამართლევი ვარ სხვადასხვა დანაშაულისათვისო. მიუღია იგი სილის ვაგონების დამცლელ ბრიგადაში და თან კონტროლზე აუყვანია—ენდე, მაგრამ შეამოწმეს ნაცადი ფორმით, მოგვიანებით ბრიგადირადაც დაუწინაურებია და ცუდი აღარაფერი ჩაუდენია. წლების შემდეგ, როცა ჯემალი აგურის ქარხანაში აღარ მუშაობდა, იმ ნასამართლევმა კაცმა, ორასკაციან სუფრაზე, რომელზეც ორივენი მიწვეულები აღმოჩნდნენ, დაგვიანებული მადლობა უთქვამს. ბედნიერად უგრძვნია მაშინ ჯემალს თავი და ეს მაგალითია სიკეთის, ნდობის და იმ კაცის მხრიდან მადლიერების.

მერე იყო საქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომის მეორე მდივნობა, პირველი მდივნის მოვალეობის შესრულება, ჩხარის იატაკის ფილების ქარხანა. პატივისცემით გაიხსენა ქარხნის დირექტორი სოსო მხეიძე, მთავარი ინჟინერი სევერიან ამირანაშვილი, მათგან ბევრი რამ ვისწავლეო და თვითონაც წარმატებული დირექტორი იყო...

ჯემალი კარგა ხანია პენსიაზეა, თავს ევლება მეუღლეს, ქალბატონ ნანის, რომელიც ამჟამად ავადმყოფობს.

ასე მოვიდა სიყვარული

მე ორივესთან ვმეგობრობდი, კარგად მახსოვს მათი სიყვარულის ამბავი, მართალია ჯემალს დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ნანი მაინც სხვა იყო ბევრის ოცნების ქალი და მიაღწია ჯემალმა საწადელს—თავი შეაყვარა ნანის და 1973 წელს დაქორწინდნენ, ქორწინებიდან 50 წელი შარშან, ზუსტად ოჯახის დღეს შეუსრულდათ. ნახევარი საუკუნე სიყვარულში, ერთმანეთის პატივისცემაში გაატარეს. ნანი ქასრაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, საკვალიფიკაციო კურსების გავლის შემდეგ დაინიშნა თერჯოლის რაისაავადმყოფოს ექიმ-ბიოლოგად, შემდეგ ბიოლოგიური კაბინეტის გამგედ, წლების განმავლობაში იყო საავადმყოფოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამსახურსაც და საზოგადოებრივ დავალებებსაც კარგად ასრულებდა, ჰქონდა მაღალი ავტორიტეტი, ხელმძღვანელები პატივს სცემდნენ, მიჩნეული იყო ერთ-ერთ საუკეთესო თანამშრომლად.

ნანი უყვარდა ხალხს, სამეგობროს, ახლა, როცა უმტყუნა ენერგიამ, ხშირად სტუმრობენ მეგობრები, ახლობლები, კვლავ სიყვარულით არის გარემოსილი.

შვილების მიერ „დაჩრდილული“ მშობლები

ნანიმ და ჯემალმა ორი შვილი აღზარდეს—ნათია და ლაშა. ორივემ წარჩინებით დაამთავრა თერჯოლის №1 საშუალო სკოლა, უმაღლესი. ნათია ექიმი ნევროპათოლოგია, თბილისში სხვადასხვა კლინიკაში მუშაობს, ლაშა იურისტია. მუშაობდა: თერჯოლის სახალხო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ, ზესტაფონის, ბორჯომის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ, შემდეგ თავმჯდომარედ, თბილისის საქალაქო, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, ამჟამად არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. ლაშას ჰყავს მეუღლე ანი ხიჯაკაძე, ექიმი სტომატოლოგი და სამი შვილი—გიორგი, სესილი, დემნა.

* * *

ბატონ ჯემალს ვთხოვე უფრო მეტი ეთქვა შვილებზე, მეუღლეზე. ცოლის ქება აუგია-ო „იმართლა“ თავი. შვილების გამო კი ერთ წინადადებაში ჩაატია სათქმელი—მსიამოვნებს, როცა მათ შესახებ კარგი და მადლიერების გამომხატველი სიტყვები მესმისო.

* * *

ჩვენი მხრიდან ვეტყვით—გაჯობეს შვილებმა ბატონო ჯემალ და ქალბატონო ნანი. ადრე ამბობდნენ—ნათია და ლაშა ჯემალ ქოჩიაშვილების შვილები არიანო, ახლა ამბობენ ჯემალი ნათია და ლაშა ქოჩიაშვილების მამაო.

ლაშა, როგორც დამოუკიდებელი, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი მოსამართლე—ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟის—თემიდას ნამდვილი მსახურია.

სხვანაირად დგას საკითხი, როცა ნათიაზე ვსაუბრობთ—იგი ცნობილი ექიმია, მთელი თერჯოლა, სულ ერთია, რა დაავადება აქვს, ნათიას აკითხავს. თუ მისი პროფილის ავადმყოფია მკურნალობს, თუ არ არის რჩევას აძლევს, „აბარებს“ გამოცდილ ექიმს და პატრონობს. თერჯოლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის ნათიას ტელეფონის ნომერი, ისიც კი როდის ჩამოდის რაიონში, რამდენ ხანს რჩება, სახლშიც კი რიგი უდგას. აი რა თქვა ერთმა პაციენტმა—ჩემი სიცოცხლე მის ხელში იყო, თვეების განმავლობაში მმკურნალობდა, მოხდა ისე, რომ სხვა ექიმიც დამჭირდა, მისმა გულისხმიერებამ შედეგი გამოიღო, ახლა კარგად ვარ და მიკვირს—როგორ შეუძლია ამდენი კეთილი საქმის კეთება, აქ ალბათ ღმერთის ნებაც ურევია. სწორედ ამიტომ მისი გონება მუდმივად იმით არის დაკავებული, როგორ დაეხმაროს სხვებს, როგორ შეუმსუბუქოს ფიზიკური და სულიერი ტკივილი.

ასეთია, ასეთი კი არა უფრო უკეთესი ბატონ ჯემალის და ქალბატონ ნანის ოჯახი, ასეთები არიან მისი შვილები, ერთ ოჯახად, და ერთად, ერთ „სახელმწიფოდ“.

ჟუჟუნა ცხადაძე

ხიბლი სხვა პროფესიის...

ჯერ კიდევ ზედა სიმონეთის საშუალო სკოლაში სწავლისას, ადრეულ ასაკში ჰქონდა გადაწყვეტილი ექიმი გამხდარიყო, მაგრამ რთული წლები იყო და ოცნება ვერ აისრულა. ოცნება ოცნებად დარჩა. უფრო სწორი იქნებოდა ირმა გიორგაძეს პედაგოგობა აერჩია, რადგან მამა—სოსო გიორგაძე 50 წელი მუშაობდა ზედა სიმონეთის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, მ. შ. 30 წელი სკოლის დირექტორი იყო, დედა

ნანა მინდიაშვილი ამდენივე წელი დაწყებით კლასებს ასწავლიდა. ირმამ უმაღლესი განათლება მიიღო და ამავე სკოლაში დაიწყო მუშაობა დაწყებითი კლასების მასწავლებლად, შემდეგ ქიმია-ბიოლოგიის, ამჟამად ბიოლოგიასა და ბუნებისმეტყველებას ასწავლის. „პირველი კრიტიკული შემფასებელი მამა იყო, როცა გაკვეთილზე მესწრებოდა ემოციებში ვიყავი, მაგრამ მისი რჩევებით ჩამოვყალიბდი მასწავლებლად, ის ჩემთვის ყველაზე სამართლიანი და მიუკერძოებელი დამრიგებელი იყო“—ამბობს ირმა და არც ისე დიდი ხნის წინ წასულ მამას ცრემლით იგონებს.

გამოცდები ირმას მუდმივი თანამდევი იყო, როგორც უნივერსიტეტში, ისე პროფესიაში. 2010

წელს ჩააბარა პროფესიული უნარების გამოცდა, 2011 წელს ბიოლოგიის სასერთიფიკაციო გამოცდა, 2012 წელს ბუნებისმეტყველების და ბიოლოგიის ექსპერიმენტული ნაწილი, 2022 წელს ცენტრალიზებული გამოცდა და მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად, შესაბამისად იცვლებოდა ირმას სტატუსიც: უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, 2023 წელს მენტორი მასწავლებლის სტატუსი. ჩამოთვლა ადვილია—სტატუსს წინ უძღოდა პროექტი „ილია ჭავჭავაძე“—ში მონაწილეობა, სადაც გაეცნო სწავლა-სწავლების ახალ მიდგომებს და საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ტრენინგებზე მიღებულ გამოცდილებას უზიარებდა კოლეგებს და ერთობლივად იყენებდნენ მუშაობაში. მნიშვნელოვანი იყო მისთვის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული „ლიდერების აკადემია 1“, მე-2 და მე-3-ის მოდულები, იგი იყო ფასილიტატორი და ატარებდა სამუშაო შეხვედრებს რაიონის პედაგოგებისათვის.

ირმა აქტიურად თანამშრომლობს კოლეგებთან, კათედრებთან, მათთან ერთად გეგმავდა და ატარებდა პრობლემებზე ორიენტირებულ და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ერთი გაკვეთილი გააზიარა გაზეთ „სახალხო განათლებაში“. იყო შეფასების ჯგუფის წევრი და თანამშრომლობა კარგად აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. სკოლის პედაგოგები ერთად ქმნიდნენ საჭირო რესურსებს, გეგმავდნენ და ამუშავებდნენ გაკვეთილებს, კლასგარეშე აქტივობებს. ირმა ამბობს, რომ ბევრს სწავლობდა კოლეგებისაგან, მათი გვერდით დგომის გარეშე ამ სტატუსს ვერ მივაღწევდიო.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა საუკეთესო პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, ჰყავთ 12 წამყვანი მასწავლებელი, რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობს, მათთან ერთად მუდმივად შრომობს პროფესიის და მოსწავლეთა განვითარებისათვის, რათა უყვარდეთ ბუნება და ზრუნავდნენ მასზე.

მისი მოსწავლეები წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ნაშრომები ყოველთვის იგზავნებოდა რესპუბლიკურ ტურებში, მიღებული აქვს მადლობის ფურცელი გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის, ბიოლოგიის სექციაში გაწეული მუშაობისათვის. მისი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ბიოლოგიის ოლიმპიადებში, საკმაოდ კარგი შედეგებით. ხშირად აწყობს ექსკურსიებს ბუნებაში, ბოტანიკურ ბაღში, მოსწავლეები რგავენ მცენარეებს, უვლიან ოთახის ყვავილებს, ზრუნავენ გარემოს დასუფთავებაზე სკოლაში, სოფლის ტერიტორიაზე. წარმატებებით აბარებდნენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს. ირმას სიამოვნებას ანიჭებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან თანამშრომლობა, ჰქონდა მიღწევები ინტელექტუალურ თამაშებში პედაგოგთა შორის, აქვს საუკეთესო მოაზროვნის წოდება.

ირმას უყვარს ბავშვები და თავისი საგანი, იგი არის მოსწავლეთა არა მარტო მასწავლებელი, არამედ მეგობარი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობით, მათ მშობლებთან ერთობლივი მუშაობით წარმატებას აღწევს.

სწავლა-სწავლებაში, შრომაში, სკოლასა და ბავშვების სიყვარულში—როგორც თვითონ თქვა ჩვენთან საუბრისას—გაეპარა წლები. სკოლაში მუშაობის 27 წელი გავიდა და ჯერაც არ აქვს საკუთარი ოჯახი, მაგრამ ძმისშვილების, სკოლის მოსწავლეების სიყვარული ასაზრდოებს, ეს სიყვარული ყველა სტატუსს ურჩევნია. ეს ყველაფერი კარგია ირმა მასწავლებელო, მაგრამ ოჯახის შექმნისათვისაც უნდა იზრუნო—ასე ურჩევენ. ირმა და ამ სკოლის პედაგოგები მოუთმენლად ელოდებიან სკოლის რეაბილიტაციის დამთავრებას, რათა საკუთარ სკოლაში უფრო აქტიურად განახორციელონ სასწავლო პროცესი, საინტერესო გეგმები და აქტივობები.

ეს ქვეყანა თქვენ უნდა ჩაიბაროთ!

ფიქრები ოთხ მნიშვნელოვან მოვლენაზე

ეს ოთხეული 2022 წლის კურსდამთავრებულები არიან. ოთხივე ოქროს მედალოსანი და 100%-იანი გრანტის მფლობელი. ტრადიციულ კითხვაზე—რა იგრძენით, როცა სკოლა დაამთავრეთ, როცა სტუდენტი გახდით, გრანტიც მოიპოვეთ და მედალიც მიიღეთ, როგორია თქვენი უახლოესი და შორეული გეგმები—მათ ასე უპასუხეს.

მიშა ჭანტურიძე—ოქროს მედალოსანი, 100%-იანი გრანტის მფლობელი (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

სკოლის დამთავრება ჩემს ცხოვრებასა და ადამიანად ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ბოლო ზარის დარეკვის დროს პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ უკვე ზრდასრული ვიყავი და უამრავი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა როგორც საკუთარი თავის, ისე ჩემი ოჯახის წინაშე. გაანალიზებული მქონდა, რომ ჩემი განვითარებისა და წინსვლისთვის ჩემმა მშობლებმა ყველაფერი გაიღეს, ამიტომაც ვალდებული ვიყავი მათი იმედები გამემართლებინა. ვგრძნობდი, რომ სკოლაში მოსასვლელად ყოველდღიურად გამვლელი მანქანებისთვის ხელის გაქნევა და ათეულობით კილომეტრის გავლა უშედეგოდ არ ჩაივლიდა. საბედნიეროდ, ჩემი იმედები გამართლდა და ჩემი შრომა სათანადოდ დაფასდა. ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო „მზეკაბანს“ და მის შესანიშნავ პედაგოგებს, რომელთა წყალობითაც მე ჩემს მიზანს მივაღწიე. „მზეკაბანში“ გატარებული წლები ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად დარჩება. ცხოვრების ამ ეტაპზე, კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ და ვაპირებ ამ მიმართულებით ჩემი ცოდნის გაღრმავებას. იმედი მაქვს, შევძლებ თავი დავიმკვიდრო ამ სფეროში და ჩემს ქვეყანას რამე ღირებული შევმატო.

დიმა ჩუბინიძე—ოქროს მედალოსანი, 100%-იანი გრანტის მფლობელი (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

სკოლის დამთავრება წიგნში საყვარელი თავის დასრულებას გავს. ერთის მხრივ, სევდიანია და მეორეს მხრივ, საინტერესო და ამაღელვებელი, რადგან შემდეგ თავში სტუდენტობა იწყება. ამ გარდამავალ პერიოდში გავაანალიზე, რომ ბევრი რამ შეიცვლებოდა და დამოუკიდებლად მომიწევდა ამ ცვლილებებთან შერკინება. საბედნიეროდ ჩემმა მშობლებმა არაფერი დაინანეს ჩემი განვითარებისთვის და სათანადოდ მომამზადეს ამ მომენტისთვის. ჩემი მშობლების თავდადებული მხარდაჭერა უზარმაზარ მოტივაციას მაძლევდა, რომ მათი იმედები გამემართლებინა. ჩემდა სასიხარულოდ, შრომამ შედეგი გამოიღო და კენწეროში დაპირებული ამისრულდა, რაც ჩემი არაჩვეულებრივი პედაგოგების დამსახურებაა, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ თავიანთი მოსწავლეების განათლებისთვისა და სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნისთვის.

ამჟამად, კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ და ჩემი უახლოესი მიზნები სწორედ ამ სფეროში განვითარებაზეა ფოკუსირებული. შორეული მომავალი არ ვიცი რას მოიტანს, მაგრამ იმედი მაქვს ჩემი შრომა ახლაც გამოიღებს შედეგს და ჩემს პროფესიას ხელოვნური ინტელექტი არ გადაიბარებს. მსურს ჩემი ცოდნით პოზიტიური გავლენა მოვახდინო და მზად ვარ ვიშრომო ამ მიზნის მისაღწევად.

გიორგი ჯუღელი—ოქროს მედალოსანი, 100%-იანი გრანტის მფლობელი (თერჯოლის №2 საჯარი სკოლა).

ჩემი სკოლა ჩემთვის ყოველთვის დაკავშირებული იყო დაუღალავ მონდომებასა და სწავლების პროგრესულ მეთოდებთან. ახლაც ასე მივიჩნევ და მენატრება ის გარემო, რომელიც ყოველ დილით იქ მხვდებოდა. მენატრება თავიანთი საქმის პროფესიონალ მასწავლებლებთან განვლილი გაკვეთილები, მრავალფეროვანი და შინაარსიანი. სკოლის დამთავრებამ, რასაკვირველია, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასრულების განცდა გამიჩინა, დროების, რომელიც მეტ-ნაკლებად გვაყალიბებს იმ ადამიანებად, რომლებადაც დარჩენილ ცხოვრებას გავატარებთ და გვგზავნის განათლების ახალი საფეხურებისკენ. შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ მათკენ გულდამშვიდებულმა გავწიე, რაშიც ჩემს მასწავლებლებსა და ოჯახს ლომის წვლილი აქვთ შეტანილი.

ოქროს მედლის აღებაც მათი დამსახურებაა, პირდაპირ მიანიშნებს მათ თავდაუზოგავ შრომაზე, რომელიც გასწიეს ჩემთვისა და ჩემი თანაკლასელებისთვის და ჩვენც ამ შრომის შედეგებს ვიმკით.

გრანტის აღებაც, ჩემი აზრით, ამ უწყვეტი პროცესის გაგრძელება იყო, რაშიც უდიდესი როლი აქვთ სხვა მასწავლებლებსაც, მათ შორის—დედა-ჩემს.

სტუდენტობა ახალი ეპოქაა, სადაც დრო განსხვავებულად მიედინება. ის ბევრად დინამიურია, განსხვავებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობების უფრო ფართო საწიერს გულისხმობს. მე ვაპირებ, რომ არჩეულ პროფესიას ბოლომდე გავყვე, სტუდენტობის ყველა საფეხური გავიარო, მაქსიმალურად გამოვავლინო უნარები და შეძენილი ცოდნა სასარგებლო საქმეებისთვის გამოვიყენო.

ნანა თურძაძე-ოქროს მედალოსანი, 100%-იანი გრანტის მფლობელი (ჩხარის №1 საჯარო სკოლა).

სკოლის დამთავრება, ალბათ, ყველა ადამიანისათვის განსხვავებული ემოციების მოზღვავებასთან ასოცირდება. ერთი მხრივ, გიხარია ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა, რადგან წინ ახალი შესაძლებლობები გელოდება, მეორეს მხრივ, კი გრძნობ სევდასაც, ვინაიდან უნდა დაემშვიდობო იმ ყველაფერს, რაც სკოლის კედლებს უკავშირდება, იმას, რაც ამ ხნის განმავლობაში შენი ყოველდღიურობა იყო. სწორედ ამ ემოციებს ვგრძნობდი, როდესაც სკოლა დავამთავრე.

ამას მალევე მოჰყვა სასურველ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე ჩარიცხვა, მაქსიმალური დაფინანსებით. ახლაც კარგად მახსოვს როგორ სულმოუთქმელად ველოდებოდი შედეგების გამოქვეყნებას, რათა მეთქვა, რომ „მე ეს შევძელი!“ - ის შრომა და ენერგია, რაც მიზნის მისაღწევად გავიღე, დაფასდა. როდესაც გავაანალიზე, ეს ყოველივე სინამდვილე იყო, უზომოდ ბედნიერი ვიყავი, ამასთან, აღტაცებულიც, რადგან იმ ახალ შესაძლებლობებს კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდი.

რაც შეეხება ჩემს მომავალ მიზნებსა და გეგმებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ღიად საუბრით არ გამოვირჩევი. სამართლის ფაკულტეტზე სწავლა ნამდვილად არაა მარტივი, ძნელია დანამდვილებით თქვა, რომელ სფეროში ხედავ საკუთარ თავს. ვინაიდან ამჟამად სისხლის სამართლის შესწავლით ყველაზე მეტად ვარ დაინტერესებული, ჩემი მიზანიც ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა და მუდმივი განვითარებაა, რათა ისევ შევძლო ვთქვა—„მე ეს შევძელი!“

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ევრო 2024 იწყება!

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი 2024 ან უბრალოდ ევრო 2024 — უეფა-ს რიგით მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატია ევროპის ქვეყნების ნაკრებებს შორის. ტურნირის მასპინძელია გერმანია, სადაც 2024 წლის 14 ივნისიდან 14 ივლისამდე 51 შეხვედრა ჩატარდება.

ევრო 2024-ს მთავარი ტიტულისთვის 24 ქვეყანა იბრძოლებს. შეხვედრები სხვადასხვა ქალაქში გაიმართება. „ევრო 2024-ზე“ სულ 6 ჯგუფია.

საქართველო ჩემპიონატის 22-ე მონაწილე გახდა და F-ჯგუფში მოხვდა. საქართველო 24 ქვეყნიდან ერთადერთი დებიუტანტია. ჩვენი ქვეყნის მეტოქეები თურქეთი, ჩეხეთი და პორტუგალია არიან.

პირველი შეხვედრა გერმანიისა და შოტლანდიის ნაკრებებს შორის გაიმართება! გერმანია ევროპის 3 გზის და მსოფლიოს 4 გზის ჩემპიონია.

26 მარტის ისტორიული წარმატების შემდეგ მორიგი ისტორიული თარიღი ჩვენი ნაკრებისათვის 18 ივნისს იქნება. სწორედ ამ დღეს, საქართველოს ნაკრები მეზობელი თურქეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. თამაში დორტმუნდში გაიმართება. არენაზე, რომელიც 81 365 000 გულშემატკივარს იტევს. წინ ძალიან საინტერესო მატჩი გველის, თურქეთს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს.

„ჯვაროსნები“ მეორე შეხვედრას უკვე ჰამბურგში 22 ივნისს ჩაატარებენ. საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩეხეთის ნაკრების დამარცხებას შეეცდება. ორ ქვეყანას „ვოლკ სპარ შტადიონი“ უმასპინძლებს, რომელსაც 58 000-მდე მაყურებლის დატევა შეუძლია.

ჩვენი გუნდი მესამე მატჩს პორტუგალიასთან გამართავს. შეხვედრას გელზერკირხენის საფეხბურთო არენა, 26 ივნისს უმასპინძლებს. პორტუგალია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია, გუნდმა ევროპის ჩემპიონის ტიტული ჯერ კიდევ 2016 წელს მოიპოვა - თან ნაკრებში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ თამაშობს.

განსაკუთრებით საინტერესოა როგორი იქნება კრიშტიანუ რონალდუსა და ხვიჩა კვარაცხელიას ხილვა ერთ მოედანზე. რონალდუ კვარაცხელიას ბავშვობის კუმირია და არაერთხელ უთქვამს, ისიც რომ მისთვის მისაბაძი ფეხბურთელია.

ახლა ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და წარმატების იმედიც გვაქვს. ჯგუფებიდან, პირველი და მეორე ადგილის მქონე გუნდები ავტომატურად გადიან შემდეგ ეტაპზე. რაც შეეხება მესამე ადგილზე გასულ ნაკრებებს, მესამე ადგილზე გასული ექვსიდან, საუკეთესო შედეგის მქონე 4 გუნდს, დამატებით ექნება შანსი შემდეგ ეტაპზე გადასვლის.

ჯგუფიდან გასვლას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს ფეხბურთელებს!

თერჯოლელი მკლავჭიდელის წარმატებები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად ევროპის პრიზიორს, 19 წლის პარამკლავჭიდელ ჭოგნარელ გიორგი სვინტრიძეს მის მწვრთნელთან ერთად შეხვდა და გამარჯვება მიულოცა მათ.

მუნიციპალიტეტის მკვიდრი სპორტსმენი 2-12 მაისს, სლოვაკეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ორივე მკლავით ასპარეზობდა, სადაც 70 კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის მერმა წარმატებული მკლავჭიდელი და მისი მწვრთნელი ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა.

მარუაშვილების ოჯახში მატებაა!

ჩვენს კოლეგას, **იუზა მარუაშვილს** და მეუღლეს, ქალბატონ **ლია გოცირიძეს** ვულოცავთ შვილიშვილის შეძენას!

პატარა **დაჩი** ერისა და ბერის სასახელოდ აღზრდილიყოს, მისი სახელით მუდამ ეამაყოთ მშობლებს—**თეო გაბუნიასა** და **ვანო მარუაშვილს,** ბებიებსა და ბაბუებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა დაგლოცოთ, მრავალჟამიერ!

„თერჯოლა“

ახალგაზრდა თერჯოლელი სპორტსმენების მორიგი მონაგარი

წარმატებით აგრძელებენ გამოსვლას თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენები სხვადასხვა დაგეგმილ შეჯიბრებებზე და ღონისძიებებზე.

იანვარ-მარტის შედეგები ჩვენ უკვე გაგაცანით, ამჯერად გთავაზობთ აპრილ-მაისში ჩატარებულ ტურნირებზე თერჯოლელი სპორტსმენების მიერ მოპოვებულ წარმატებებს.

3-4 აპრილი. ქალაქი ხაშური. დავით დათიაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

ზურა ბოჭორიშვილი 30კგ. საბა ხუჯაძე 24 კგ. პირველი ადგილი.

გიორგი ლომიტაშვილი 34 კგ. რატი ზარნაძე მძიმე მეორე ადგილი.

ნიკოლოზ რობაქიძე 30კგ. საბა სულამანიძე 55 კგ. ლევანი გოგიტიძე 42 კგ. მესამე ადგილი.

29-30 აპრილი. ქალაქი ქუთაისი. მსოფლიო ჩემპიონის გენადი ჩირგაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში.

საბა ხუჯაძე 24 კგ. რატი ზარნაძე მძიმე+74 კგ. მესამე ადგილი.

7-9 მაისი. ქალაქი ბორჯომი. მერიის თასი ძიუდოში გოგონათა შორის სარეიტინგო ტურნირი.

ქეთი ბუცხრიკიძე 70 კგ. მესამე ადგილი.

7-9 მაისი. ქალაქი ლანჩხუთი. ავთანდილ გოგოლაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბა კუტალაძე 55 კგ. მეორე ადგილი.

***

17-19 მაისს თერჯოლის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის მიშიკო აბაშიძის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში. 2009-2010-2011-2012 წლებში აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის 3-მა გუნდმა, ზესტაფონის, ცაგერის, ხობის და თერჯოლის სპორტსმენებმა, სულ 150-მა მონაწილემ. თერჯოლელი სპორტსმენების მონაგარი ასეთია:

2009-2010 წლებში დაბადებულები:

საბა სულამანიძე 59 კგ. პირველი ადგილი.

დათო ხუჯაძე 73 კგ. ლევანი გოგიტიძე 42 კგ. მეორე ადგილი.

დათო ლომიტაშვილი 34 კგ. მესამე ადგილი.

2011-2012 წლებში დაბადებულები:

რეზი ხაჭაპურიძე, 21 კგ. ზურა ბოჭორიშვილი 30 კგ პირველი ადგილი.

საბა ხუჯაძე 24 კგ, გიორგი ლომიტაშვილი 34 კგ, ლუკა სახვაძე 60 კგ, მესამე ადგილი.

საუკეთესო მოჭიდავის პრიზი გადაეცა საბა სულამანიძეს 50 კგ, ხოლო მიშიკო აბაშიძის სახელობის პრიზი გადაეცა 21 კგ. რეზი ხაჭაპურიძეს.

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს: ლერი ჯიხვაშვილმა, მალხაზ თურქაძემ, ლერი რობაქიძემ, ონისე ბოჭორიშვილმა, ზურაბ გავაშელაშვილმა, თამარ ხოჯაშვილმა.

ვულოცავთ! წარმატებებით ხშირად გავეხარებინოთ ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი

საბა კლდიაშვილის ქართული ოქრო და ევროპული ბრინჯაო

ჩვენებურმა საბა კლდიაშვილმა წარმატებით დაიწყო წლევანდელი სპორტული წელი.

იგი, 11 აპრილს, ამჯერად სამბოში წარუდგა გულშემაკივრებს საქართველოს ახალგაზრდა სამბისტთა ჩემპიონატზე. შეჯიბრზე ყველაზე საინტერესო და ხმაურიანი სწორედ ეს იმერული დერბი გამოდგა, სადაც მან ფინალში ზესტაფონელი ხიდაშელი დაამარცხა და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ჩემპიონობასთან ერთად საბამ ევროპის პირველობისათვის საგზურიც მოიპოვა, რომელიც 8-11 მაისს სერბულ ნოვი სადში გაიმართა.

მართალია, საბა ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ პირველივე ევროპული გასვლა ბრინჯაოს მედლით დაასრულა, რაც მნიშვნელოვანი წარმატებაა.

ვულოცავთ ნიჭიერ სპორტსმენს ამ წარმატებას და მომავალ ოქროს გამარჯვებებს უსურვებთ.

„თერჯოლა“



40 დღე გავიდა, რაც გეტუნი და გიორგი ამირანაშვილების ოჯახს უმძიმესი ტრაგედია დაატყდა თავს—გარდაიცვალა მათი შვილიშვილი—სიცოცხლითა და ჯანღონით სავსე ახალგაზრდა

საბა ამირანაშვილი

საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო მწუხარებაში კიდევ ერთხელ თანავუგრძნობთ მათ, გარდაცვლილის მშობლებსა და ძმას, ოჯახის ახლობლებს, მეგობრებს.

გაზეთი „თერჯოლა“

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგ შორენა გვენეტაძეს დედამთილის

თინა ფხაკაძის

გარდაცვალების გამო

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, სამეურვეო საბჭო და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის დირექტორს გიორგი ქასრაშვილს, პედაგოგებს ინგა ქასრაშვილსა და ლელა სირაძეს ბიძისა და მამიდაშვილის

ვახტანგ ზაქარიაძის და ამირან ბაზაძის

გარდაცვალების გამო.

თქვენ საქართველო იმედით გელოდებათ!

1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სრულიად საქართველოს თითოეულ ბავშვს, მათ მშობლებს ვულოცავთ ამ ლამაზ დღეს, ბედნიერება და სილაღე ჰქონოდეთ მუდამ, წმიდა ნინო იყოს თქვენი მფარველი, თქვენი გონიერება და განსწავლულობა კი გზამკვლევი–ნათელი და გაბრწყინებული მომავლისაკენ!

ქვეყნის სილამაზე, სიძლიერე და ბედნიერება თქვენა ხართ. თქვენ გვილამაზებთ სიცოცხლეს, გვახარებთ თქვენი ტიკტიკითა თუ პირველად გადადგმული ნაბიჯებით... თქვენი ღიმილითა და თვალების შემონათებით ხომ საერთოდ გვავიწყებთ ყოველდღიურ რუტინას, დაღლას და წამალიც აღარ გვჭირდება ტკივილის დასაყუჩებლად.

დალოცოს უფალმა თქვენი გაჩენა. ჯანმრთელნი და ბედნიერნი გაეზარდეთ მშობლებს, ოჯახებს, მამულს მისი წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის. მოუარეთ და უპატრონეთ მამა-პაპათა შრომით, ოფლითა თუ ბრძოლით დღემდე მოტანილ მამულს, მის ტრადიციებს, ენით აღუწერელ საგანძურს, რომელსაც სამყაროში ბადალი არ მოეძებნება.

P.S. - 1 ივნისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ კარგი საჩუქარი მოუმზადა როგორც ამ პატარებს, ისე თერჯოლის მუნიპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, ყველა ბავშვს, მათ მშობლებსა და ახლობლებს.

- ამ დღეს მათ განკარგულებაში იყო ქალაქ თერჯოლაში განთავსებული ყველა დახურული და ღია სპორტული მოედანი, ატრაქციონები, საზაფხულო ამფითეატრი და მოსწავლეთა ცენტრის ახლადგახსნილი დარბაზი... ეს ულამაზესი ბავშვები ქალაქ თერჯოლის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა ერთი ჯგუფია. ვფიქრობთ, მომავალში, ჩვენი გაზეთის გვერდებიდან სხვა ბაღების აღსაზრდელთა ლამაზი და ბედნიერი სახეების დანახვაც გაგახარებთ უთუოდ...

დათა აბულაძე

იაკობ სირაძე

ლიზა ფორჩხიძე

დემეტრე გიორგაძე

ლილე ცხადაძე

თომა ბერუაშვილი

ელენა რობაქიძე

გაბრიელ ბოჭორიშვილი

ბარბარე ჯიმშიაშვილი

გიორგი ვარდოსანიძე

ანანო ბოჭაძე

ალექსანდრე გიორგაძე

ბარბარე ბენდუქიძე

ნიკოლოზ ყიფიანი

ზურა ცქიფურიშვილი

იესო პაპასქირი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872